# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 210 ოთხშაბათი, 23 სექტემბერი 1909 წ. № 210

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ. არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ სექტემბრიდან წლის ბოლომდე 3 მ. 70 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.



თავადი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 24 ენკენისთვეს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მისი დაუვიწყარ საყვარელის დედის

## კნეინა ათინაიდა ნიჟარაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე. (2—ნ.—1)

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 26 ენკენისთვეს, 1909 წ.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან წარმოდგენილი იქნება:

## „ცხოვრების გარეშე"

პიესა 4 მოქმედებად პროტოპოპოვისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ორშაბათს საღამოს, 5 ოქტომბერს. მზადდება წარმოსადგენად; «შემოსავლიანი ადგილი», ოსტროვსკისა. „პეპო" სუნდუკიანცისა და სხვ.

დაპატიჟებითა ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დაჯდება. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(3—1) რეჟისორი შათირიშვილი. ადმინისტრატორი სვირელი.

**ექიმი** ქ. ქუთაისში. მ. დ. ბეთანოვი

აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (25—კვ.—24)

**ექიმი** კბილისა ს. ვაშაყმაძე

აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს ახალ ბინაზე დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—ნ.—13)

**ექიმი** ქ. ს. ფონ-ირტელი

არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაღრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—5)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ი. ნ. ეგიაზაროვის

ელექტრო - თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—13)

**ექიმი** ლ. ნ. ოჰანჯანოვი

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—19)

**ექიმი** ჩარექოვი ქ. ქუთაისში. სპეციალისტი.

იღებს განსაკუთრებით სიფილისით, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გოგოლის ქუჩა, აბულაძის მეზობლად იოსელიანის სახლში. (25—ფ.—15)

**ექიმი** ქ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—68)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—12)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—11)

**ექიმი** მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე მ. გოცაძე

დაბა ყვირილაში

მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნასადილევს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—24)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 164,

**ექიმი** გ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—71)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—254

იყიდება ყველგან ახალი

## ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა, სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: „ადვოკატთან", „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე". წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან. ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. (30—ნ.—22)

ახლად გახსნილი ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფელდროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ზ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

გ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—162)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—12)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ქუთაისში

კბილის ექიმის დ. ს. როჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—1)

გუშინ ესე 11 საათზე, დავიდოვისა და გრიბოედოვის ქუჩის კუთხიდან, საცაპისკუნის სამრეცხელოა, მივდიოდი აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებისკენ გოლოვინის პრ. და

## დავკარგე

პორტფელი ჯიბისა (შავი), საცა მქონდა ტფ. კომე ც. ბანკისა და ტფ. საურთიერთო ბანკის ბილეთები ი. ა. იანუშკევიჩის სახელზე. მპოვნელს ვთხოვ, დამიბრუნოს პორტფელი, რადგან მისთვის იგი გამოუსადეგარია, შემდეგის ადრესით; წყნეთის ქ. N 29, რატოვცს, გადასაცემათ იანუშკევიჩისთვის, რისთვისაც მიიღებს გასამრჯელოს. (2—463—1)

დღეს, 28 სექტემბერს, საღამოთი ზუბალაშვილების სახალხო სახლში გ. ივანიძის რეჟისორობით და მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ა. წერეთლის 5 მოქმედებიანი პიესა

## პატარა კახი

ბილეთები იყიდება კასაში დილით 12—2 ს. და საღამოთი 6—8 საათ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (1—უ.—1)

გამოვიდა და იყიდება

## „ქება-ქებათა"

**სოლომონისი**, კიტა აბაშიძის წინასიტყვაობით და შენიშვნებით და

## „სულამიტ",

ა. შანშიაშვილისა. გამოცემა კ. აბაშიძისა. წიგნი იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, ფასი ორი შაური. (10—9)

**ექიმი** გ. მაგაკიანი.

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—30)

## ხალხური ლექსები და სიმღერები

შეკრებილი ი. კარგარეთელის-მიერ.

იყიდება ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (3—უ.—1)

ნაფიცი ვექილი

## სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო „ლონდონის" ახლოს). (25—ნ.—14)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„მომავალი" გულ-ნატკენია. არ მოსწონებია ვარლამ ჩერქეზიშვილის ფელეტონი. სწყინს ისიც, რომ ბევრი სოც.-დემოკრატი შეხედულებას იცვლის და ყველაფერში არ ეთანხმება „მომავალის" ზოგიერთ დაძველებულ აზრს. ოღონდაც, რომ საწყენია. მაგრამ რას იზამთ, ამით საქმეს არაფერი ეშველება.

გაზეთი ჩერქეზიშვილს ეკამათება და, სხვათა შორის, აცხადებს, რომ „ისტორიულ უფლებების" აღდგენა, ესე იგი ავტონომია შიმშილსა და გაჭირვებას ვერ მოსპობსო. არა გვგონია, მომავლის თანამშრომელნი იმდენად უვიცნი იყვნენ, რომ არ ესმოდეთ ამ აზრის სრული უსაფუძვლობა. სოციალ-დემოკრატები დემოკრატიულ რესპუბლიკას თხოულობენ თავგამოდებით, მაშ მაშინ მოისპობა შიმშილი და გაჭირვება, არა? ნუ თუ ასეთი რამეც საკამათო და დასამტკიცებელია?

ან კიდევ: ჩერქეზიშვილი ამბობდა, ქართველებს ყოველგვარი ეროვნული უფლება ჩამოართვეს და ეხლა მიწა წყალსაც ართმევენ, მუშებს სამუშაოს არ აძლევენ და სხვა. „მომავალი"-კი ამაზე უპასუხებს: რუსეთშიაც აყარებელი ხალხია უმიწა-წყლო და აყარებელს შიმშილითა ხდება სულიო. წადი და ეკამათე ეხლა...

ავტონომიის შესახებ „მომავალის" მეპრესე სწერს: „ათას ხელ თქმულა, სოც.-დემოკრატები არას დროს არ ყოფილან საერთოდ ავტონომიის, ერის დამოუკიდებლობის წინაამდეგნიო". ამას ჩერქეზიშვილიც ამოწმებს. იგი ამბობს, რომ ფრანგი, შვეიცარელი, გერმანელი და სხვა ევროპიელი ს.-დემოკრატი თავგამოდებით დაიცავს თავის ერის დამოუკიდებლობისაო. მაგრამ აქ ლაპარაკი ქართველ და არა ევროპიელ ს.-დემოკრატებზეა; ხოლო ჩვენებური ს.-დემოკრატები რომ ავტონომიის და ქართველთა დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი არიან, ეს ყველამ კარგად იცის და ამას სხვათა შორის „მომავალის" ის ნომერიც ამტკიცებს, რომელშიაც ისინი ჩერქეზიშვილს ეკამათებიან. ამავე პრესაში ამბობენ, რომ წინააღმდეგნი არიან კავკასიის (მით უმეტეს საქართველოს) ავტონომიისაო.

ისტორიასაც ამახინჯებს „მომავალის" მეპრესე. ყველამ კარგად იცის, რომ ქართველი ფეოდალები, ტიტულოვანნი და წარჩინებულნი საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგნი იყვნენ და არიან დღესაც და ამ შემთხვევაში მეპრესე ტყუილად იმოწმებს არჩილ ჯორჯაძეს. ავტონომიას, როგორც არჩილ ჯორჯაძეც აღნიშნავს, მხარი დაუჭირეს ინტელიგენტმა, თავისუფალ პროფესიების თავად-აზნაურებმა და არა ფეოდალებმა, რომელთაც ს.-დემოკრატებსავით ბრაზსა ჰგვრიდა მარტო ერთი გაგონება ავტონომიისა.

თავის ფელეტონის ბოლოში ჩერქეზიშვილი სწერდა:

„გერმანელები, ინგლისელები, შვეციელები პირდაპირ გეტყვიან: თავის უფლებაზე ხელს იღებენ და უარყოფენ ან იდიოტები, ან საცოდავები და მონანი, ან კიდევ გამყიდველი არსებანი".

ამაზე „მომავალი" ამბობს, რომ „აქ ადრესი გარკვევით არ არის ნაჩვენებიო". დავარწმუნებთ მეპრესეს რომ ადრესი ძალიან გარკვევით არის ნაჩვენები და თუ მას გაგების უნარი არა აქვს, ან გონიერი მეზობელი ეყოლება ან კიდევ კეთილის მყოფელი ვინმე და ჰკითხოს მათ—ისინი უფრო დაწვრილებით აუხსნიან.

* * *

ადგილობრივსა და რუსეთის შავრაზმულ პრესაში ბევრი საზიზღრობა დაბეჭდილა ადგილობრივ მკვიდრთა შესახებ, ბევრი ცილის-წამება დაუსტამბავთ, მაგრამ რაც ეხლა „ვეჩეში" დაბეჭდილი და „გოლოს კავკაზ"-ში გადმობეჭდილი ავლაბრის პროგიმნაზიის ინსპექტორის შესახებ—ყოველსავე წრეს გადასული თავხედობაა. აბა მოისმინეთ რა სისულელესა სწერენ ეს გაზეთები.

ავლაბრელთა გასანათლებლად 1905 წელს ქალაქის ხარჯზე დააარსეს ვაჟთა პროგიმნაზია და ინსპექტორად დანიშნეს ვინმე ღ—ძე, რომელიც რევოლიუციონურ პარტიას ეკუთვნოდა. ეს ორსახიანი ვაჟბატონი, რომელიც თავის შთავრობას უჩვენებდა, რომ მეფისა და ტახტის დამცველია, ნამდვილად უკიდურესი რევოლიუციონერი გამოდგა. მასწავლებლების მოწვევის საქმე სულ იმის ხელთ იყო და მართლაც შესანიშნავი მასწავლებლები მიიწვია: რომელი მასწავლებელიც უნდა აიღო, ან სოციალ-დემოკრატი, ან დაშნაკციუთუნი, ან რევოლიუციონერია თავის მასწავლებელთაგან ღ—ძემ შეადგინა მებრძოლი რაზმი არსებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილების დასამხობად და პოლიციელთა მოსასპობად. ამ უკანასკნელ მიზანს რაზმმა სავსებით მიაღწია: ამ ვაჟბატონებმა საბრალო მოხელეთა სისხლით მორწყეს არა მარტო ავლაბარი, არამედ ტფილისის სხვა ადგილებიც. ღ—ძის მასწავლებელთაგან უფრო თავი ისახელეს: შაუმოვმა—სოციალ-დემოკრატმა, მანასიანცმა—დაშნაკციუთუნმა, შტვანმა—რევოლიუციონერმა და ბაბოვმა—დემოკრატ-დაშნაკცაკანმა. ამათ, სხვათა შორის, გაძარცვეს თავიანთი პროგიმნაზიის მწერალი, რომელსაც ხაზინიდან მასწავლებელთა ჯამაგირების ფული მიჰქონდა. იმათი ხელით ბევრი მოკვდა. ბევრი რუსის ოჯახი შიმშილით დაძრწის ამათ მეოხებით. გაძარცულ ფულით ღ—ძემ და მანასიანცმა იჯარით აიღეს ცოვიანოვების აბანო ჩუღურეთში. მაგრამ ღ—ძეს გარდა, დანარჩენები დიდხანს ვერა სტკბებოდნენ სისხლის ღვრითა და ძარცვა-გლეჯით. ყველანი დაიჭირეს: შაუმოვი და მანასიანცი ეხლა ტფილისის მეტეხის ციხეში სხედან, შტვანი და ბაბოვი განდევნეს კავკასიიდან. მაგრამ მთავარი დამნაშავე ღ—ძე ჯერ ხელუხლებლადაა. ღ—ძე სასტიკი მტერია მართლმადიდებლობისა: პროგიმნაზიის კლასებში წმ. ხატები არ არის ჩამოკიდებული. ყოვლად სამღვდელო გრიგორიმ, ეგზარხოსის მოადგილემ, შარშან დაათვალიერა პროგიმნაზია და ხატები ვერა ნახა. მაგრამ უფრო ასაშფოთებელია შემდეგი საქციელი ღ—ძისა: უწმ. სინოდი უკრძალავს ერის კაცთა ასწავლონ სამღვთო სჯული, ღ—ძემ კი მოსამზადებელ კლასში სამღვთო-სჯულის მასწავლებლად დანიშნა მხითარიანცი, ჩამომავლობით და სარწმუნოებით სომეხი. ნუ თუ ეს მკრეხელობა არ არის? აი, რა ხალხი სდგას სასწავლებლების სათავეში! ამის შემდეგ ღ—ძე კიდევ ელის, რომ დირექტორის თანამდებობაზე იქნება დამტკიცებული. ნუ თუ არ გამოაძევებენ პროგიმნაზიიდან ცხვრის ტყავში გახვეულ მგელს, რომელიც ასე მუყაითად რყვნის მოსწავლეთ"?

როგორც ჰხედავთ, შავრაზმელები, არავითარ საშუალებას არ ერიდებიან „ტუზემცების" გასადევნად სასწავლებლიდან და სხვა დაწესებულებიდან.

ადვილი მისახვედრია, რომ ბ. ღ—ძე აქ ბ-ნი იაკობ ღულაძეა. მას მეტი ინსპექტორად არავინაა ავლაბრის პროგიმნაზიაში. ხოლო რომ იაკობ ღულაძე არც ყაჩაღია და არც აბანოების არენდატორი, ეს მთელმა თბილისმა იცის, და ასეთი უშნო და სულელური ცილის-წამება მხოლოდ შავრაზმელებს შეუძლიანთ. ცილის-წამებასაც შნო და ჭკუა სდომებია!..

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 სექტემბერი

### საზღვარ-გარედ.

**მადრიდი.** მინისტრ-პრეზიდენტმა მაურამ მეფეს მოხსენება წარუდგინა მაროკოს საქმეების შესახებ. მეფესთან ლაპარაკის შემდეგ მაურამ განაცხადა, მთავრობა ეცდება რაც შეიძლება მალე გაათავოს მაროკოსთან ომი და ამიტომ მაროკოში ბევრ ჯარს გაგზავნის, რომ თავის მიზანს მალე მიაღწიოსო.

**მარმანდი.** ჩამოვიდა საფრანგეთის პრეზიდენტი ფალიერი. ფალიერი დაესწრო მინისტრად ნამყოფ ფაის ძეგლის კურთხევას. ძეგლის კურთხევის დროს შეირყა ის ტრიბუნები, რომლებზედაც მთავრობის წარმომადგენელნი იდგნენ. ამან გამოიწვია მცირედი არევ-დარევა. არავინ დაშავებულა.

**მადრიდი.** გუშინ, 21 აგვისტოს, მელილიაში წავიდა ესპანიის ტახტის მემკვიდრე დონ-კარლოს ბურბონელი.

**მელილია.** 21 აგვისტოს ლიკსის მთაზე გამოჩნდა მავრების რაზმი—1500 კაცი. ჰფიქრობენ, რომ ბიმბურნაგელის თემმა მავრებს მაშველი რაზმი გამოუგზავნაო. ესპანელებმა ზარბაზნები დაუშინეს ლიკსის გორას. მავრები გაიფანტნენ.

**სოფია.** მინისტრები ბოლგარიის დამოუკიდებლობის წლის თავის დღესასწაულზე დასასწრებლად ტირნოვოში წავიდნენ. 21 აგვისტოს მეფე საზღვარ-გარეთიდან ჩამოვიდა. მეფე პირდაპირ ტირნოვოში წავა. ტირნოვოშივე წავლენ დედოფალი, მეფისწულები და სხვები.

### რუსეთი

**კიშინევი.** ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია საგუბერნიო ერობის თავმჯდომარე სემიგრადოვი.

**სიმფეროპოლი.** დააპატიმრეს ის ბოროტგანმზრახველები, რომლებიც ქალაქის საყასპოების კანტორას დაეცნენ. დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ ადგილობრივ საელექტრონო სადგურის ელექტრო-ტეხნიკი და სლესარი.

**ლოძი.** გუშინ, 21 აგვისტოს, ჩენსტოხოვში უცნობებმა მოჰკლეს დარაჯი.

**პეტერბურგი.** გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება მთავრობის საშუალო სასწავლებლებში ებრაელების მიღების შესახებ. ამ ბრძანებით სატახტო ქალაქის საშუალო სასწავლებლებში ებრაელებს მოწაფეთა საერთო რიცხვის ხუთ პროცენტს მიიღებენ, პროვინციაში, სადაც ებრაელებს სამუდამო ცხოვრების უფლება არა აქვთ—ათ პროცენტს, სადაც სამუდამო ცხოვრების უფლება აქვთ—თხუთმეტ პროცენტს.

კურლიანდიის, ლიფლიანდიის, ესტლიანდიის და ხერსონის გუბერნიებში გაძლიერებული წესები კიდევ 1910 წლის 4 სექტემბრამდე დარჩება.

პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა დააჯარიმა, 300 მანეთით „რეჩის" რედაქტორი, 1000 მანეთით „ნოვაია რუსის" რედაქტორი.

**ეკატერინოსლავი.** მეჩეტნიში უცნობებმა გაძარცვეს ავსტრიის კონსულის კომისიონერი. წაიღეს 8000 მანეთი.

**პეტერბურგი.** 21 სექტემბერს, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა 24,442, უნდა გამოცხადებულიყო 86,000 ამრჩეველი. 1907 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 44,922 კაცმა.

**პეტერბურგი.** დღე-დამეში ხოლერით ავად გახდა 38, გარდაიცვალა 16, ავად არის 362 კაცი.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ქალთა უმაღლეს კურსების გახსნა.** 26 სექტემბერს, გრიბოედოვის ქუჩაზე (№ 22) გაიხსნება ქალთა უმაღლესი კურსები.

✦ **ახალი გაზეთი.** როგორც ვიცით, ფოთში დაიკეტა გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი". „ზაკავ." სიტყვით, ამ გაზეთის მაგიერ ოქტომბრის შუა რიცხვებში ფოთში გამოვა ახალი გაზეთი „კოლხიდა". გაზეთს აარსებს ფოთის ქალაქის თავი, ნ. ი. ნიკოლაძე. ამბობენ, გაზეთი უმთავრეს ყურადღებას ეკონომიურ საკითხებს მიაქცევსო. გაზეთს ძირითად თანხად 20,000 მანეთი ექნება, რისთვისაც ამხანაგობა სდგება.

✦ **სხდომა არ შესდგა.** შაბათს, 19 სექტემბერს, საღამოთი დანიშნული იყო სხდომა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი, მაგრამ არ შესდგა, რადგან, როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, „მკვდარ" საზოგადოების „გამაცოცხლებელნი" სხდომებზე არც კი დაიარებიან. სხდომა ხელ ახლა დაინიშნა 26 სექტემბრისთვის.

✦ **პირველ სექციის სხდომა.** ხვალ, 24 სექტემბრისთვის, ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია სხდომა ერობის შესახებ პირველ სექციისა.

✦ **რევიზია.** ამ ჟამად რევიზიაა თურმე ბათუმის სადგურისა. „ტფ. ლისტ."-ს სიტყვით, რკინის გზის ადმინისტრაციას ყურადღება მიუქცევია, რომ სადგურის დაბალი მოსამსახურენი ხელგაშლილად სცხოვრობდნენ. სხვათაშორის, გაუგიათ, რომ ერთი ბოხლე წელიწადში რამდენსამე ათას მანეთს იპარავდა.

✦ **წიგნის ვაჭრობის გაცხოველება.** როგორც აღვნიშნეთ, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის გამოცემათა მოთხოვნილებამ პროვინციაში წელს ძალიან იმატა. როგორც საზოგადოების მაღაზიის ანგარიშიდან სჩანს, 1908 წელს 10 აგვისტოდან 16 სექტემბრამდე ნაღდად გაყიდულა 1116 მანეთის წიგნი, ხოლო ფას-დადებით პროვინციაში გაგზავნილა 5507 მანეთის წიგნები, სულ 6623 მანეთისა. წელს კი ნაღდად გაყიდულა 2080 მან. წიგნი, ხოლო გაგზავნილა 7874 მან. სულ 9954 მან. შარშან საშუალოდ მაღაზია ყოველ დღე ჰყიდდა 210 მ. წიგნს, წელს 331 მანეთისას.

✦ **ახალი სისტემა პურის თესვისა.** ნაფიცმა ვექილმა ი. ს. ჯაბადარმა საინტერესო მოხსენება შეიტანა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოში. როგორც აღვნიშნეთ, ბ-ნ ი. ჯაბადარმა საგარეჯოში წელს სცადა ახალ „კვალის (грядковая) სისტემით „პურის მოყვანა. ცდას კარგი ნაყოფი გამოუღია. ყანა მაღალი მოსულა და მოსავალი უხვი მოუცია. ამ ცდაზე დამყარებულ საყურადღებო მოხსენებას 26 სექტემბერს განიხილავს საბჭო და შემდეგ მომავალ კვირას საზოგადო კრებას წარუდგენს.

✦ **უპასპორტოები.** 21 სექტემბერს ჩხრეკის დროს პოლიციის მე-10 ნაწილში დააპატიმრეს 27 უპასპორტო კაცი.

✦ **დანიშვნა.** კავკასიის საექიმო ნაწილის გამგედ ინიშნება ექიმი მ. ნ. ვესელოვზოროვი (ტ. ლ.).

✦ **პოლიტიკური საქმეები.** 21 სექტემბერს სამოსამართლო პალატამ გაარჩია სამი პოლიტიკური საქმე: 1905 წ. პიატიგორსკში გამოცემულ გაზეთის „ნაროდნოე პრავოს" ყოფილ რედაქტორის ტრაუბესი, ი. მურვანიშვილისა და ტაბლიაშვილისა. პირველად პალატამ ხალხის დაუსწრებლად გაარჩია ტრაუბეს საქმე. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი გრუზენბერგი. ტრაუბე პალატამ დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ერთის წლით ციხე, ხოლო ტაბლიაშვილს, რომელსაც პოლიტიკური პროპაგანდა ჰბრალდებოდა, მიუსაჯა რვა თვით ციხე. ტაბლიაშვილს იცავდა ნაფიცი ვექილი კ. ჯაფარიძე. ივანე მურვანიშვილს ჰბრალდებოდა 1905-1906 წლებში გაფიცვის ბიუროს წევრობა. მას იცავდა ნაფიცი ვექილი ი. ბარათაშვილი. პალატამ უდანაშაულოდ იცნო მურვანიშვილი და სრულებით გაამართლა.

✦ **ნიაღვარი.** 21 სექტემბერს ნაძალადევსა, ლოტკის გორისა და წმ. ნინოს სასაფლაოს მხრიდან დიდი ნიაღვარი მოვარდა ქალაქში. საღამოს 6 საათი იქნებოდა, რომ ლოტკის გორისა და მახლობელ ადგილებში დიდი წვიმა დაუშვა. თუმცა ქალაქის საზღვრიდან ეს ადგილები ერთ ვერსზე იქნებოდა მხოლოდ, მაგრამ თვით ქალაქში ერთი წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა. უცბად 7 ნახევ. საათზე ავჭალის ქუჩაზე მოვარდა ძლიერი ნიაღვარი. წყალმა ავჭალის ქუჩა აავსო. ბევრგან მოულოდნელად სარდაფებშიაც შევარდა. გადავიდა კიროჩნი და სხვა ქუჩებზედაც. ყველანი გაოცებულნი კითხულობდნენ, საიდან მოსკდა ესეთი ნიაღვარიო. კარგა ხანს ავჭალის ქუჩაზე შესწყდა მიმოსვლა ტრამვაის ვაგონებისა. ხალხი ქუჩის ერთი ნაპირიდან მეორეზე დროგებითა და ეტლებით გადადიოდა. ნიაღვარი ავჭალის ქუჩაზე ხშირია და იგი კუკიის გორებიდან მოდის ხოლმე, მაგრამ ქალაქის მამებს დღემდე თითიც არ გაუნძრევიათ, რომ მტკვრამდე ამ ნიაღვრის სადენი არხი გააკეთონ და ააშორონ მცხოვრებთ დიდი ზარალი. ავჭალის ქუჩაზე უფრო დიდი ნიაღვარი ნაძალადევში მოვარდნილა და დაუზარალებია ხალხი. რადგან წვიმა არ იყო და არც არავინ მოელოდა ნიაღვარს, ამიტომ დროზე ზომებიც არ მიუღიათ. ნიაღვარს ყორღანოვის ქუჩაზე ნაძალადევში დევდარიანის სახლის კედლები შეუნგრევია და ნივთები სულ გაუოხრებია. ამგვარადვე დაზარალდნენ ნაძალადეველნი სუპოტკინი, არუთინოვი და სხვანი. დაზარალებულთ უკვე აცნობეს ეს ამბავი ტფ. ქალაქის გამგეობას. დაზარალებულნი სჩივიან, ქალაქმა უზღოს ზარალი. ბევრნი დიდუბეშიაც დაზარალდნენ. ბევრი სარდაფი წყლით გაივსო. პოლიციის მე-9 ნაწილში, ვლადიმირის ქუჩაზე წყალმა მოიტაცა გზად მიმავალი მაკიმ ბაღდანოვი (44 წლ.) და ჩაითრია ხევში ბუაძის სახლთან. საბედნიეროდ, მიხეილ ბუაძემ გადაარჩინა იგი.

✦ **ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭომ 21 სექტემბრის სხდომაზე უმთავრესად წვრილმანი საქმეები განიხილა. ზოგს „პოსობიე" დაუნიშნა და ზოგს პენსია, საყურადღებო იყო მოხსენება გუბერნატორის წინადადების შესახებ. ამ წინადადებით ქალაქმა 19,289 მანეთი უნდა გადასდოს პოლიციისათვის ახალ იარაღის შესაძენად. როგორც აღვნიშნეთ, ქალაქს კარგა ხანია მიწერ-მოწერა აქვს ადმინისტრაციასთან ამ საკითხის გამო. ადმინისტრაცია წინად 42,000 მანეთს თხოულობდა, ეხლა 19,289 მანეთს. კანონით ქალაქი ვალდებულია გაიღოს პოლიციის შესაიარაღებელი ხარჯი, დავა ყოფილა იმაზე, თუ რა ტიპის იარაღი უნდა შეიძინოს ქალაქმა პოლიციისათვის. ამაზე კანონში არაფერია გამორკვეული. ქალაქის გამგეობამ ამ საღამოს საბჭოს სთხოვა კომისიის არჩევა იმის გამოსარკვევად, თუ რა სისტემის იარაღისთვის უნდა გადაიდოს ფული. საბჭოში ამ საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. დასასრულ საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება და დაადგინა, კომისიას ნება მიეცეს საკითხის გამორკვევის დროს მოიწვიოს სხდომებზე სპეცია ლისტები.

✦ **სესხის განაღდება.** ტფ. ქალაქის გამგეობამ ბრიუსელიდან, ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორის ბ-ნ გაბრიელისაგან წინადადება მიიღო, ქალაქ ტფილისმა ბელგიელთა შორის გაანაღდოს მეოთხე სობლიგაციო სესხი, $3^1/_2$ მილიონ მანეთისა. ასეთივე წინადადება მიიღო ქალაქის გამგეობამ პეტერბურგიდან პატენის სატეხნიკო კანტორისაგან.

✦ **სტიპენდიები.** გუბერნატორის კანცელარიამ გუშინ აცნობა ტფ. ქალაქის თავის მოადგილეს, რომ გუბერნატორი წინააღმდეგი არ არის, სისრულეში მოყვანილ იქნას ქალაქის საბჭოს დადგენილება მირზოევის სახელობის 9 სტიპენდიის დანიშვნის შესახებ.

✦ **„ჰორიზონის" რედაქციისაგან.** გალუსტიანის გარდაცვალების გამო „ჰორიზონის" რედაქციამ ფურცელი გამოსცა. რედაქცია აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ გაზეთის გამოცემა დროებით შეჩერდა. რედაქციას იმედი აქვს, რომ მალე შესძლებს გაზეთის განახლებას და დააკმაყოფილებს ხელის მომწერთ.

✦ ტფ. გუბერნატორის დადგენილებით დაჯარიმებულ იქმნენ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის: აგაბეკ ადამალოვი 10 მანეთით, მარტინ ზეინალოვი—20 მან; გედევან ვახტანგოვი—20 მან. არსო გულოევი—2 მან., ლუკა გადდავა—5 მან. და ბენიამენ დოლიძე—5 მან.

# მოწერილი ამბები

**ჩუმათელეთის აბანოები.** სურამზე ზედ არის მიბმული სოფ. იტრია, ამაზე კიდევ სოფ. ჩუმათელეთი. სურამის ციხიდან რომ ვიანგარიშოთ, ჩუმათელეთის გოგირდის აბანოებამდის ოთხ ვერსამდი გზა იქნება. გზა მშვენიერი ნაკეთებია და სწორი.

სოფ. ჩუმათელეთი 50-დე კომლისაგან შესდგება. მთელ საზოგადოებას ეკუთვნის ეს აბანოები. დღეს აბანოსთვის წყალი ცხელდება უბრალო დიდ ქვაბში და მოსულნი ბანაობენ ხის გობებში, რომლებიც ერთ დაცხავებულ სახლში მოუთავსებიათ. როგორც ეტყობა, ხალხი დარწმუნებულა ამ წყლის სიკარგეში, რომ ზამთარ-ზაფხულ არ აკლდება მბანებელი. მცხოვრებთ დაუფიცებიათ ერთი მეზობელი და ამისთვის ჩაუბარებიათ აბანოს მოვლა-გამგეობა. ამ აბანოს წელიწადში უძღვია, როგორც მცხოვრებთ გადმომცეს, სამოც-ოთხმოც თუმნამდე შემოსავალი.

დღეს რომ მიბძანდეთ ამ სოფელში, ინახულებთ მშვენიერ თლილი ქვის შენობას. ეს შენობა აბანოსთვის აუშენებიათ და გაზაფხულისთვის მზად იქნება. მცხოვრებნი ოთხას თუმნად გაჰრიგებიან მოიჯარადრეს. თავიანთი მუშაობა და მასალის მიტანა რომ ჩააგდონ, ეს დასრულებული შენობა ხუთას თუმნამდე უჯდებათ. შენობა სულ თლილი ქვისაა და თაღებით შეკრული. შუაში [illegible] ბია. მარცხნივ [illegible] რა [illegible] ოთხ ოთხი აუზი იქნება, ამისთანა ოთახი შვიდია. ამას გარდა ერთი დიდი საბანაო აუზია, სადაც უფრო იაფად იბანავებს რამდენიმე ადამიანი ერთად.

მცხოვრებნი დიდის ერთგულებით ეკიდებიან ამ საქმეს, ერთობა განუხორციელებიათ ამ საქმეში, ყველას თანასწორად გადაუხდია ხვედრი ფული და თანასწორადვე ისარგებლებს შემოსავლით. სასიხარულოა ასეთი ერთსულოვანობა სოფლისა ამისთანა სასარგებლო საქმეში. ჩუმათელეთელების საქმე პირველი მაგალითია იმისი, თუ რა შეუძლიან სოფლის ერთობას და პირიანობას. სხვა სოფლებსაც ბევრსა აქვს საერთო სასარგებლო საქმე გასაკეთებელი, მაგრამ ასეთი ერთობა ვერ შეუგნიათ და ღუპავენ საქმესაც და თავიანთ თავსაც. თუ შემდეგშიაც ასე მიჰყვებიან ერთმანეთს აქაურები, იმედია მალე გამართავენ სკოლას, კარგ სკოლას და არა ისეთს, როგორიც ეხლაა ჩვენს ქვეყანაში, გააუმჯობესებენ თავიანთ მეურნეობას, უკეთა სჭამენ და უკეთ ჩაიცვ-დაიხურავენ.

როგორც ეტყობა, ჩუმათელეთელებს კარგად უპატრონნიათ თავიანთ სიმდიდრისთვის, რომ დაცხავებული ბუნებრივ აბანო მშვენიერ და ჰიგიენურ შესაფერ შენობად გადააქციეს, მაგრამ, გგონებ, არ ეწყინებათ, თუ ორიოდე რჩევას მივცემ, ჩემის აზრით, მათთვის მეტად სასარგებლოს.

როგორც ზევითაცა ვსთქვი, აბანოები სურამზე ოთხი ვერსის მანძილზეა. აბანოებით სარგებლობენ გარშემო სოფლების მცხოვრებნი, რომელნიც ფეხით ან დაჩაღახებულ ურმებით მოდიან საბანებლად და ან მაშინვე უკან ბრუნდებიან, ან რომელიმე მცხოვრების ოჯახში ბინავდებიან, ან არა და ურემში ატარებენ დღე-ღამეს. რასაკვირველია, ამისთანა პირობის გამო ბევრი ვერ მივა საბანებლად; თუ მივა კიდევ, იმის მაგივრად, რომ აბანოს მახლობლად დარჩეს და რამდენსამე დღეს ისარგებლოს აბანოებით, ხალხიც ასარგებლოს და თავის თავიც, იგი მალე მიდის სოფლიდან. ეს უბინაობა ბევრს აზარალებს აბანოს. შემდეგისთვის სოფელი იზრუნებს მოსულთათვისაც შენობები ააგოს, დღეს

# მახვილი გრძნობა

დრამატიული ფანტაზია 1 მოქმედებად.

**კ. ტეტმაიერისა.**

((დასასრული*)

**არტური.** ვგრძნობ, რომ არაფერში ვიყავ მათთვის გამოსადეგი...

**ანნა.** მე-კი აქ მარტო შიშით გავთავდებოდი. მოსამსახურე ცეცხლის საქრობადაა წასული... სახლი ცარიელია... ყრუ... დავხედავ ლეონს (გადის ოთახში).

**არტური.** (მარტო). ეს ქალიშვილი... სწორედ სიზმარია... მოჩვენება...

**ანნა.** (დაბრუნდება). ლეონს უკვე სძინავს სავარძელში. ხელში ის ყვავილი უჭირავს, რომელიც მე მივეცი. (მიდის ავგნისაკენ და კარებთან, გაზას სიახლოვეს, ჩამოჯდება. არტურიც მიუახლოვდება).

**არტური.** (ცოტა სიჩუმის შემდეგ). საბრალო თქვენი ძმა! საოცარის საიდუმლოებით უნდა იყოს საvსე იმისი გული...

**ანნა.** დიაღ... საოცარის და მასთან დიდებულის საიდუმლოებით...

**არტური.** შეუძლიან ცხად ჰყოს ხოლმე მან თავისი გრძნობები?..

**ანნა.** ყველაფერს, რასაც საამური სურნელება აქვს, ან შეხების დროსაა სასიამოვნო—ტკბილ ნეტარებასა ჰგვრის. მეტად მახვილი გრძნობა აქვს.

**არტური.** გეტყობათ, თქვენ ყველაზე უფრო ყურადღებას აქცევთ და ზრუნავთ მისთვის?

**ანნა.** დიაღ, მე. ხშირად მთელის დღეებით დავდივართ ხოლმე ახლად მოთიბულ მინდვრებში. სოფლის ბავშვებს, რომელთაც იციან, რომ ლეონს ყვავილები უყვარს, მთელი კონები მოაქვთ ხოლმე. ლეონი ეთამაშება, უალერსებს მათ, ხელის შეხებით გაიგებს ნაცნობებს და სიამოვნებს. უფრო ხშირად-კი ამ აივანზე უყვარს ყოფნა და სუნთქვა ცივი მთის ჰაერისა.

**არტური.** ხასიათი საზოგადოდ გულკეთილი აქვს?

**ანნა.** ბოლო დროს უფრო ხშირად ერევა ბრაზი, მეტ-წილად-კი ძლიერ მშვიდია. გაბრაზება მეტადა ვნებს და ჰღალავს უბედურს.

**არტური.** ვგრძნობ, ჩემი აქ ყოფნა სწყინს.

**ანნა.** იმისთვის საჭიროა რომ ადამიანს შეეჩვიოს. გარდა ამისა, არ მოსწონს, როდესაც ჩემს სიახლოვეს ვინმე უცხო იმყოფება.

**არტური.** სჩანს, ყველაფერსა ჰგრძნობს და ღმერთმა უწყის, რას ფიქრობს მისი გული...

**ანნა.** (მწუხარედ) ღმერთმა უწყის... (ჭაერი შეწითლდება, ცეცხლის ალი თან და თან მატულობს). ახ! შეხედეთ, ალი!!

**არტური.** ცეცხლი ალბად ბეღლის სახურავს მოედო ამ ბნელ ღამეში ცეცხლის შუქი მაგონებს ერთ საჰქრო გემს, რომელსაც ნავთსადგურში ცეცხლი გაუჩნდა და ჩვენ ვაქრობდით.

**ანნა.** იქ თქვენ უეჭველად ასე უმოქმედოდ არ იქნებოდით, როგორც აქა ხართ თქვენდა უნებურად.

**არტური.** ოჰ, არა! ჩვენ ყველანი ვმუშაობდით, რაც-კი შეგვეძლო.

**ანნა.** გადაარჩინეთ ვისიმე სიცოცხლე?

**არტური.** (დიმილით) მხოლოდ ერთის ძაღლისა, რომელიც ყველასაგან მივიწყებული იყო.

**ანნა.** ცეცხლიდან გამოიყვანეთ?

**არტური.** (დიმილითვე) იქ ყველაფერი ცეცხლის ფრად იყო განათებული. (ანნა უნებურად ხელს გაიშვერს არტურისაკენ და დიდხანს თვალებში მისჩერებია. არტურს ჯერ უნდა მიიზიდოს ანნას თითები ტუჩებთან, შემდეგ უდუმანობს და ხელს გაუშვებს. სიჩუმეა).

**ანნა** (სცდილობს დაჭვარის ადევნებას). ხედავთ, მთის წვერები, როგორაა განათებული? გესმით, როგორი ტკაცა ტკუცი გააქვთ ფიცრებს?

**არტური** (ყურს უგდებს). თქვენ ჩემზე უფრო მახვილი ენა გქონიათ.

**ანნა.** ხეებზე ფრინველნი დაფრთხალან, და ღამის სიბნელეში მიფრინავენ. მესმის მათი ფრთების ქნევის ხმაურობა!..

**არტური** მტრედები დაფრთხიალებენ სახლის გარშემო.

**ანნა** (შეშინებული). გესმით ფეხის ხმა და ტოტების მტვრევა ტყეში... ცეცხლს გამოუღვიძებია ირმები და ნადირი... მოისმის შორიდან დიდი ზარის ყრუ ხმა).

**არტური.** რა ყრუ ხმა აქვს ამ ზარს?

**ანნა.** საზარელია... (პაუზა). თქვენ დამშვიდებული ხართ?

**არტური.** სრულიად. ან რაზე უნდა ვშიშობდე? ცეცხლისაგან არავითარი შიში არ მოელის არც სახლს და არც სხვა შენობებს!

**ანნა** (იმეორებს ჩუმად). დიაღ, ცეცხლისაგან არავითარი შიში არ მოგველის... ოჰ, ეს ზარის ყრუ ხმა... (პაუზა).

**არტური.** ზარის ყრუ კილო მაგონებს ერთს, მამი ჩემის მიერ დაწერილს სიმფონიას!.

**ანნა** (ჩაფიქრებული). ერთ სიმფონიაში, დიაღ, მართალია. სწორედ სასწაულმა მოგიყვანათ თქვენ ამაღამ აქ.

**არტური** (დიმილით). საიღბლოდ თუ საუბედუროდ?!.

**ანნა** (მოწყენით). ბედნიერება ასე ცოტაა ამ ქვეყნად... სულ მცირედი... (პაუზა). როგორ წააგავხართ ამ წუთში მამა თქვენს. ჩემს ოთახში როიალის თავზე ჰკიდია მისი სურათი... ხშირად ვუყურებ ხოლმე გატაცებით... მამა თქვენი ჩემი იდეალია (დიმილით), ჩემი პირველი სიყვარული!..

**არტური** (აღელვებული). ამ მიზეზის წყალობით, შესაძლებელია, არც მე ვიყო თქვენთვის სრულიად უცხო!

**ანნა.** (უნებურის გულწრფელობით). დიაღ... დიაღ... (უცბად შეჩერდება დარცხვენით: ცოტა ხნის შემდეგ განაგრძობს). თქვენ არ იცნობთ ჩვენს მრისხანედ მოღუშულ მთებს?

**არტური.** ამ კუთხის სრულიად უცხო სტუმარი ვარ. (სიჩუმე).

**ანნა** (აღელვებული). გესმით? ძაღლები ყმუიან!

**არტური.** ისინი ჰაერში თითქოს სუნითა გრძნობენ სიკვდილს.

**ანნა** (ცახცახით). სიკვდილს!., რადა სთქვით ეს საოცარი, სასტიკი სიტყვა?!.

**არტური** (დიმილით). ამ სიტყვას ასე ხშირად ხმარობს ყველა.

**ანნა.** (ისევ ცახცახით). არის ხოლმე წუთი, როდესაც ეს სიტყვა არ უნდა წარმოითქვას.

**არტური** (დიმილით). ავი სულისა ხომ არ გეშინიანთ?

**ანნა** (ერთს წუთს მიაჩერდება არტურს). თქვენ იცინით?

**არტური** (დინჯად). თქვენ სულ გაფითრდით?

**ანნა** (ჩუმად, თითქოს თავისთვის). თვით ამ ზარის ხმაში, ფოთლების შრიალში ისმოდა ეს საშინელი სიტყვა. (მოისმის ქუხილი. პაუზა. ანნა შეხედავს არტურს). თქვენ დამშვიდებული ხართ?

**არტური.** დიაღ...

**ანნა,** სრულიად?

**არტური.** სრულიად!

**ანნა** (ცახცახებს). მე მცივა... (არტური მობრუნდება, სკამზე გადაფენილ თბილ შალს შენიშნავს და მიაწოდებს ანნას).

**არტური.** აი, შალი წამოისხით. (მხრებზე მოასხამს). კარგია? (უკანასკნელ სიტყვას, ემჩნევა, მღელვარებით ამბობს).

**ანნა.** კარგია, გმადლობთ! (ერთი წუთის შემდეგ). რად ცახცახებდა თქვენი ხმა?

**არტური** (დარცხვენით). როდის?

**ანნა.** ამ წუთში, შალი რომ მომაწოდეთ.

**არტური.** სრულიადაც არა. ალბად მოგეჩვენათ.

**ანნა** (დაჟინებით მისჩერებია არტურს). არა... თქვენც გეშინიანთ რაღაცისა, მაგრამ არ მიმხელთ...

**არტური** (დიმილით). შიში!.. კარგი მეზღვაურიც ვიქნებოდი!... ჩემი ნერვები გასალკლდევებულია ზღვის ღელვითა და ქარ-ბუქით...

**ანნა.** მშურს თქვენი სიმამაცე!.. ოხ, ნეტა როგორმე გაიაროს ამ ღამემ, ამ საოცარმა შავ-ბნელმა ღამემ... (უცბად შესწყვეტს).

**არტური.** რა დაგემართათ?!.

**ანნა** (სუსტის ხმით). ტსს!.. ჩუმად!.. გესმით?.. ბაღში ვიღაც მოდის, წყნარად, შეუმჩნევლად. ტოტები ძირს იხრებიან ყვავილები მიწას ეკვრიან... ღელემ ხმაურობას უკლო... ქარი შესდგა... ახ!..

**არტური** (შეშფოთებული). რა მოგდით, რა გემართებათ?!

**ანნა** (ცახცახით). ყური დაუგდეთ... ვიღაც გვიახლოვდება... აგერ ახლოს.. სულ ახლოს... ნუ, ნუ გაიხედავთ... (სასოწარკვეთილი თვალებზე ხელს მიიფარებს).

ამ წუთში კარებში გამოჩნდება ლეონი. მას ვერა ჰხედავენ ვერც არტური და ვერც ანნა. იგი ერთს წუთს შეჩერდება, შემდეგ მძიმედ გაემართება აივნის კარებისაკენ. მალ-მალე ჩერდება, ისვენებს. სჩანს, რომ რაღაც სიმწარეს ჰგრძნობს, რაღაც აბრაზებს.

**ანნა** (თითს გაიშვერს). აი, იქ, იმ კუთხიდან ანათებენ დიდრონ ნაპერწკლებივით წითელი თვალები!.. ღმერთო!.. (უცბად წამოდგება და წაბარბაცდება. არტური მიეშველება და ნაზად ხელს შემოჰხვევს).

**ანნა** (ცოტა სიჩუმის შემდეგ). გამიშვით ხელი!.. (არტური ხელს გაუშვებს, ანნა აივნისკენ გადაიხრება. შალი მხრებიდან წელზე ჩამოცურდება).

**არტური** (გრძნობით). დამშვიდდით... ანნა...

**ანნა** (სცდილობს დამშვიდდეს). არაფერია.. გაივლის... (შეხედავს არტურს) თქვენ მალე აპირობთ ჩვენი კუთხიდან წასვლას?

**არტური.** დიაღ, მალე.

**ანნა.** სად?

**არტური.** კვლავ თვალუწვდენელ ოკეანეზე.

**ანნა.** ხომ შეგიძლიანთ დაბრუნდეთ, როცა მოისურვებთ?

**არტური.** დიაღ, მაგრამ დაბრუნებას აღარა ვფიქრობ... (მოკლე სი-

*) იხ. „დროება" N 209.

დღეობით კი ამას ასე მოევლება: სურამში შენობები ბევრია. ზამთარში ხომ სულ ცარიელია აქაური შენობები, მოსულთ აქ შეუძლიანთ თუნდ მთელი წელიწადი დაჰყონ და აბანოებ(ი)თ ისარგებლონ, მაგრამ აქედან წასვლა-მოსვლა იმდენად ძვირია ეტლით რომ ყველას ჯიბე ვერ აიტანს. ამიტომ პირველი ჩემი რჩევაა, გაზაფხულიდან სოფელმა გაიჩინოს დიდი ლინეიკა ცხენებით, რომელიც დღე მუდამ ივლის სურამსა და ხუმათელეთს შუა. სულზე რომ ორი შაური დანიშნონ მიყვან-მოყვანის ფასი—ეს საქმეც თავის ხარჯს გარდა, შემოსავალს მისცემს მცხოვრებთ. ჯერ ეხლაც რამდენისაგან გამიგონია, რომ წასვლა უნდათ აბანოში, მაგრამ შორია და ძვირად დაჯდებათ. წლიურ მაბანებელთა გარდა, სურამში სააგარაკოდ მოსული ხალხი დიდი მუშტარი იქნება ამ აბანოებისა, ეხლა კი მისვლა-მოსვლის სიძვირის გამო ბევრი არა სარგებლობს ამ აბანოებით. მეორე, მოსული ხალხი პანებამდის ან ბანების შემდეგ უსათუოდ მოითხოვს რაიმე სუმბუქ საჭმელს და სასმელს. ამიტომ სასურველია და მცხოვრებთათვის მეტად სასარგებ-[illegible]

მათგან სოფელი იხარებს და თვით ეს საერთო აბანოც უკან უკან წავა, მუშტარი დააკლდება. წამხდარ საქმის გამობრუნება კი მეტად ძნელია.

ჭირდა აბანოსათვის შენობის აშენება, და რაკი ეს შესძლეს, სხვა რამეების მოწყობაც ადვილია.

**არა სურამელი.**

# სპარსეთი

**საუბარი სპარსეთის ელჩთან.**

„რეჩ"-ის ერთ-ერთ თანამშრომელს პეტერბურგში სპარსეთის ელჩთან გენერალ „საად-ხანთან უსაუ-[illegible]

ხანზე, მაგრამ ეს ხმა მალე მისწყდა. ესევე უნდა ითქვას ცრუ-წინასწარმეტყველ ჰუსეინზედაც. ეს აგერ ათი წელიწადია, რაც ჰუსეინი თეირანზე გასალაშქრებლად ემზადება.

— მართალია, ვითომ რუსის ყაზახთა ბრიგადა უქმდებაო?

— სპარსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და თავის საქმეებს ისე მოაწყობს, როგორც ჰკუა გაუჭრის. რაღა თქმა უნდა, რომ ჯარისკაცების გასაწვრთნელად ჩვენ მოვიწვევთ უცხოელ ინსტრუქტორებს და მათ შორის რუსებსაც.

ჩვენის ახალგაზდა შაჰის აღზრდაზეც სხვა და სხვა ხმა დაყარეს, ვითომ ჩვენ სხვა სახელმწიფოების გავლენით დავითხოვეთ მისი წინანდელი აღმზრდელებიო, მაგრამ ესეც სწორე არაა. სპარსეთს ჰსურს თავის ახალგაზდა ხელმწიფეს წმინდა ეროვნული განათლება მისცეს, ამიტომაც მის აღმზრდელებად სულ სპარსელები იქნებიან. რასაკვირველია, უცხო ენების მასწავლებლად-კი უცხოელებს მიიწვევენ.

— მეჯლისი დაამტკიცებს ეხლანდელ რეგენტს?

— მაგაზე ნამცეცი ეჭვიც არა მაქვს, რადგან რეგენტი ზედ გამოჭრილია თავის ადგილზე. ხმები სხვა პირების კანდიდატურაზე—სულ მოჭორებულია.

ჩვენ ძლიერა ვცდილობთ, რომ მშვიდობიანად ვიცხოვროთ ყველა სახელმწიფოსთან და ნამეტნავად ჩვენ მეზობლებთან: რუსებთან, ინგლისთან და ოსმალეთთან, რომლებთანაც დიდი ეკონომიური საქმეები გვაქვს. ჩვენ მეტი საქონელი გაგვაქვს ამ ქვეყნებში, სანამ მათ ჩვენთან შემოაქვთ და ამიტომ ჩვენ გვსურს, კარგი განწყობილება ვიქონიოთ მათთან.

— მართალია ის ხმა, ვითომ ნაშაჰარს მამედ-ალის მომხრეები ჰყავსო და ვითომ ისინი ტახტის დაბრუნებას დაჰპირდნენო

— ეგ შეუძლებელია.

---

ჩუმის შემდეგ)... ან შეიძლება... (კიდევ ცოტა ხნით სიჩუმის შემდეგ). არა... ეს არ მოხდება... იქ მოწყენილობასთან ერთად მხიარული დროს ტარებაც ბევრია. ოკეანი ბობოქრობს, მეზღვაურები მღერიან, და ღამე, როდესაც ბრძოლით დამთვრალნი ზღვის ტალღები დამშვიდდებიან და გემზე სიჩუმე გამეფდება, ფიქრები ზღვის ნიავსავით თავს დასტრიალებენ ლაჟვარდ ზღვის სივრცეს...

**ანნა.** რაზედა ჰფიქრობთ იმ დროს?

**არტური.** ყველაფერზედ, რაც კი ცხოვრებაში საყურადღებო გამომივლია. ამათ ეხლა კიდევ ერთი გრძნობა მიემატება.

**ანნა** (ფთუმანით). როგორი?

**არტური** (პაუზის შემდეგ). სევდა. (პაუზა).

**ანნა** (თმიდან ამოიძრობს ერთს ყვავილს და არტურს მიაწოდებს), იქნებ ოდესმე ამ ყვავილმა მოგაგონოთ ეს ჩვენი სახლი, როდესაც ისე შორს იქნებით ჩვენგან... მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყვავილი სულ მალე ჭკნება. (არტური შეაჩერებს ანნას ხელს და თვალებში მისჩერებია, თითქოს ეკითხება: შეუძლიან აკოცოს ხელზე თუ არა. ანნა უნებურად თვალებს ძირს დახრის. არტური გაუბედავად ჰკოცნის ხელზე).

**არტური.** ამ ყვავილს სიკვდილამდე შევინახავ.

**ანნა** (სუსტის ხმით). ჩემს სიკვდილამდე თუ თქვენის? ისეთნი, როგორც მე, დიდხანს ვერ სცოცხლობენ. როდესაც თქვენ სადმე ოკეანეზედ მყოფი შემთხვევით გაიგონებთ ჩემი სიკვდილის ამბავს, გადაავდეთ და მაშინ ეს ყვავილი წყალში და უყურეთ, როგორ ჩაიძირება. (ცოტა სიჩუმის შემდეგ). მე ბავშვი ვარ, განა?.. (სმენად გადაიქცევა). გესმით მუსიკის ხმა?..

**არტური** (აღელვებული). მესმის მხოლოდ თქვენი ხმა და ესაა ჩემთვის ტკბილი მუსიკა...

**ანნა.** ვსუსტდები... მე ისეთივე უღონო ვარ, როგორც ნორჩი ყვავილი მრისხანე ქარიშხლის დროს, როგორც სუსტი მერცხალი ზღვაზე გადაფრენისას... (წამოხტება. არტური მიუახლოვდება და წელზე ხელს შემოჰხვევს). ჰხედავთ, რა მტრედის ფერი ბურუსი გვახვევია გარშემო?!..

**არტური.** მე გხედავთ მარტოოდენ თქვენ და მტრედის ფერი ბურუსი-კი ჩემი გრძნობა-ფიქრებია.

**ანნა** (ფრთოლვით). სანეტარო, საყვარელი სიზმარი!..

**არტური** (გრძნობით, ჩურჩულით). არა, სიზმარი კი არა, ცხადი!.. ეს ჩემი სიყვარული, ჩემი გრძნობები თავს გევლებიან...

**ანნა** (ნებდება არტურს). უცხო ქვეყანა... ტკბილი სიზმარი... (არტური გულში ჩაიკრავს ანნას და ხანგრძლივად ჰკოცნის. ლეონი ამ ხნის განმავლობაში ისე მიუახლოვდება მათ, რომ ერთი ნაბიჯით დაა მათგან დაშორებული. უცბად ანნა თავს მაღლა ასწევს და სასოწარკვეთილი წამოიკივლებს). ახ!!.. ხეები შეირხენ!.. ხეები შეირხენ!.. (ამ წუთში ლეონი ხეებით წინ წაეპოტინება. არტური და ანნა ერთდროს იგრძნობენ თავებზე ვიღაცის ხელს, სწრაფად უკან მოიხედავენ და თოფნაკრავივით გაშეშდებიან. ლეონი ცალის ხელით დონივრად სწვდება არტურს საყელოში, მეორე ხელით კი წამოავლებს კუთხეში მარმარილოს ქვაზე მდგარ ვაზას და მძლავრად დაარტყამს არტურს თავში. არტური კვნესით დაეცემა. ლეონი ძალა გამოლეული ხავსის კედელს მიებჯინება და მძიმედა სუნთქავს. ანნა აქნობამდე გაქვავებულად მდგარი, ნელა მიუახლოვდება არტურს, ოდნავ დაიხრება, საოცრად აცახცახებული, თვალებზე ხელს მიიფარებს და სასოწარკვეთილი წამოიკივლებს) მოკვდა!.. აჰ!.. აჰ!.. აჰ!..

**ჯაფარ-ფაშა.**

---

# მთათა შორის

(თიანეთი-დუშეთი).

სად დოლი, სად დოლბანდიო, იქნება სთქვას მკითხველმა: სად თიანეთი, სად დუშეთიო, ეს ხომ გამოვადო და ღვინო, ერთმანეთში არეული! სიცრუვეა. რატომ? იმიტომ, ჩემო კარგო, რომ თიანეთი და დუშეთი მთის ახალოხის (თუმცა ამ ახალოხის კალთები ბარსაცა ჰხვდება) ორი ჯიბეა,—მარჯვენა და მარცხენა. რა ვუყოთ, რომ ერთს მდინარე იორი ჩაუდის ფიჩხულიან-კალმახიანი, ხოლო მეორე წყაროების ანაბარას არის დარჩენილი. ვერ ჩავთვლით მდინარედ, დუშეთს რომ დასავლეთით პატარა ხევი ჰსაზღვრავს; ამ ხეჩავს ზაფხულობით სისველე ძლივს ეტყობა, შიგ ჩავარდნილს ჩალას თუ ბუმბულს ვერ წაიღებს, განაღამც განაშოროს დუშეთს ნაგავ-ნუგავი და ჰაერი გაწმინდოს, თუმცა-კი ნიავ-ღვრობის დროს ისეთი მოვარდება, ისე ადიდდება, ადამიანებს ახრჩობს, ასე რომ საშაბუროდან დუშეთში მაზრის უფროსისთვის წამოსულს ერთს ცნობილს ახალთაობის მღვდელს გლეხებზე საჩივრის მისართმევად „დრაჰის" შესახებ, უკანვე დაბრუნება უხდებოდა ამ მდინარის წყალობით.

რა ვუყოთ, რომ დუშეთში იმოდენა ცარიელი კაზარმებია, მთელი ქალაქის შენობებს უნახევრებს და თიანეთ-ში-კი „დვორეცი"-ღა დაგვრჩა საბანაკო ავლა-დიდებიდან, გორაკიდან ობლად, უნუგეშოდ გადმომზირალი!.. ამისთანა რამეებს მე ჩემად დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევ. საქმე ის არის, ახალოხის ჯიბეებში რა მოიპოვება, რა ძევს ისეთი, რომ მნახველის თვალმა და გულმა გაიხაროს.

—

რამ უნდა გაახაროს ადამიანის თვალი და გული? რას ვპოვებთ სანუგეშოს და გულის წყლულის დამაამებელს? რამ უნდა გაგვიღიმოს გულში სასოება საუკეთესო მომავალისა? ნუ თუ დანჯღრეულ არღნების უგემურმა ჭღრიალმა, ღვინიან ხელადების ტრიალმა და „დამისხი დამალევინე ერთი, მეორე, მესამე,—ესეც რო გაგვითავდება, რაღა ვქნათ შენი კვნესამე"-ის მღერამა? სტრაჟნიკების მათრახების წრიალმა და ნედოიმკების კრეფამა? ბოქაულების მრისხანე „პროტოკოლების" წერამა? გალოთებულის ხალხის ერთი-მეორის ლანძღვა-თრევამა? მიკიტანხანები არსად, არც ერთს ქვეყანაში არ არის კულტურულ დაწესებულად ცნობილი, გარდა ჩვენისა, არავინ ერთგულობს მათ ისე, როგორც ჩვენ და, მაშასადამე, არსად ისე მკვიდრ საძირკველზე არ არის აშენებული, როგორც ჩვენში.

მარტო ქეიფობით და სამიკიტნოების სიმრავლით არ განისაზღვრება ჩვენი წინ-სვლა პროგრესის გზაზე. აბა, რედაქტორებო, ჩაიხედეთ სარედაქციო ჟურნალებში და თქვენც, წიგნის მაღაზიის პატრონებო,—რამდენი ხელის მომწერი გყავთ ჩვენი მაზრებიდან, რამდენმა დაიბარა წიგნები? ჩაიხედეთ, ივარაუდეთ მცხოვრებლების რიცხვიც და ვნახოთ, თუ შუბლში ხელი არ იტკიცოთ და ელეთ-მელეთი არ მოგივიდეთ.

დიაღ, ასეთი კაი ბიჭები გახლავართ! ასეთი ერთგულნი სამშობლოსი, მისი მწერლობისა, მკურნალნი აწმყოს ტკივილებისა და განმამტკიცებელნი მის საუკეთესო მომავლისა.

თიანეთში ყოფნის დროს აქეთ-იქით ვიხედებოდი, მინდოდა ერთი რამ კულტურული დაწესებულება დამენახა თვალით, გამახსენდა სამკითხველო და გავსწიე იქითკენ. ცხრა საათი იქნებოდა. თორმეტ საათამდე დავყავი იქ. ვიჯექი მარტოკა, როგორც ბუ ხის ღრუში, ვსინჯავდი გაზითებს და თან კარებზე მრჩებოდა თვალი, იქნებ გაიღოს და ერთი მაინც არი ამხანაგი გამომიჩნდეს მეთქი. მაგრამ ამაოდ. შესრულდა თორმეტი საათი, ფეხიც კი არავინ შემოსდგა. გადავავლე თვალი შკაფში წიგნებს, რომლებსაც მტვერი დასდებოდა ხელის ნეკის სისქედ ნიშნად იმისა, რომ დიდი ხანი უნდა ყოფილიყო განვლილი, რაც იმათი მყუდროება არ დარღვეულა. დავიხურე ქუდი, დავიწერე პირ-ჯვარი, „ჯვარი აქაურობასა" მეთქი, წარმოვსთქვი, რადგან ჩემი არც მისვლა ვინმემ გაიგო, არც წამოსვლა და გაუდეგ გზას.

ერთის მხრით მადლობელი გავხდი, როგორც სამკითხველოსი, ისე იმის გამგესი: დუშეთის სამკითხველოს გამგემ ერთხელ ორი კაპეიკი გადამახდევინა (ეს წესად ყოფილა იქ). ფული რომ მივეცი, ეშმაკურად გაიცინა და „აგაშენოს" თქმით გადაიხადა ბოდიში.—რაღას იცინი-მეთქი? დავეკითხე. „მაშ რა მაქვს სატირელი, შე დალოცვილო,—მიპასუხა:—ერთი კვირააა ოთხი გროშის მეტი არ ამიღიაო". დიაღ, დაურჩი მადლობელი თიანეთის სამკითხველოს, რადგან, იქაც, როგორც დუშეთში, თუ სამკითხველოში არავინ დაიარება, და არავინ შეურაცხყოფს ჯერ თავის-თავს და შემდეგ სამკითხველოს და საზოგადოდ მწერლობას, ფული მაინც არავინ გადამახდევინა. ერთ ჩემს ნაცნობს შევჩივლე ასეთი უნუგეშო მდგომარეობა სამკითხველოებისა და მკითხველებისა. „მართალიაო, მიპასუხა მან, მაგრამ ჩვენივე ბრალია, ვერ ვიფიქრეთ იმ თავითვე, როცა სამკითხველოებს ვაარსებდით, დაგვავიწყდა იქვე სამიკიტნო გაგვემართა და სამკითხველოს გამგე ბუფეტჩიკიცა ყოფილიყო". უგემურად ჩაიცინა და გამომეშვიდობა.—დიდი შეცდომა მოსვლია მეთქი, მივაძახე მეც კვალ-და-კვალ. რას იზამ მართლის მთქმელს სიმართლის თქმა უნდა მოუწონოთ.

—

გავემართე სკოლისკენ დაკოდილის გულის გასამთელებლად და ჩავყევი თიანეთის პროსპექტს. მე რევიზორი არ გახლავართ, რომ დამეფასებინა, როგორ არის სწავლის საქმე დაყენებული სკოლაში და არც ვინ მომცემდა ამის ნებას. შევიტყე ის მხოლოდ, რის შეტყობაც უფრო ყველაზე მეტად მენიაზებოდა: გამეგო, რა ხელმძღვანელოებით ასწავლიდნენ მასწავლებლები. უმთავრესად გულის მომწყვლელი არის ის გარემოება, რომ რუსულის სწავლება მუნჯურის მეთოდის მსგავსად შედგენილის სახელმძღვანელოთი უსწავლებიათ. „რუსკოე სლოვო" განდევნილია და თუმცა ვაჟები და ქალები ერთობლივ ქართველები არიან, არც ერთი ქართული საყმაწვილო ჟურნალი არ მოსდის სკოლას, თუმცა როგორც მასწავლებელმა განმარტა, სასწავლებელს ამისთვის თანხა აქვს, რომელიც ზედამხედველის ხელშია და იგი განაგებს როგორც ფულის საქმეს, ისე სახელმძღვანელოების სიავ-სიკეთის მიხედვით არჩევას.

დუშეთის ორ-კლასიან სასწავლებლის სახელმძღვანელოებზე და ხელმძღვანელებზე ვერაფერს ვიტყვი, ხოლო რომ ამ სკოლასაც ერთი დიდი ნაკლი აქვს, ეს კი ეჭვს გარეშეა. ამ ორმოცის წლის წინად მთიელ ბავშვებისთვის კავკასიის ნამესტნიკის მიერ არის დადასტურებული 17 სტიპენდია, რომლითაც უნდა აღიზარდნენ მთიელები, როგორც დუშეთისა, ისე თიანეთის მაზრიდან. დღეს კი ვხედავთ იმას, რომ ამ ხნის განმავლობაში ორიც არ აღზრდილა ამ სტიპენდიებით მთიელი ბავშვი, იზრდებიან ისევ შეძლებულთა, მოქალაქის შვილები, მთის ხალხი კი რჩება გარიყული და არავინ ამაზე ხმას არ იღებს და არც ყურადღებას აქცევს ამ სამწუხარო მოვლენას. თიანეთის მასწავლებელს უკმაყოფილოდ ყურს ვუგდებდი; ჩემს უკმაყოფილებას იგიც ადასტურებდა, მაგრამ რა გამოვიდა: უკმაყოფილება უკმაყოფილებად რჩება, ხოლო ნაკადული ვოსტორგოვებისაგან ჩვენთა ყრმათა, ჩვენის ახალთაობის ჭკვა-გონების და ზნეობის მოსარწყავად მოგდებული, დღეს აქამომდე არა შრება და ჩვენის გადაგვარების მოტრფიალე ქურუმ ვოსტორგოვის მემკვიდრეები ჩვენ შორის არა სწყდება, ძირიან-ფოჩიანად არ იფხვრება, გაუდგამს ანწლივით ფესვი, რაც უნდა ჰგლიჯო, მაინც კიდევ რჩება მიწაში მისი ნაშთი ახალ-ახალ ყლორტების მშობელ დედად.

—

გულ-დაწყვეტილი ავმხედრდი ტაიჭსა ჩემსა და გავწიე დუშეთისაკენ, სადაც ხაზინის კურთხევას უნდა დავსწრებოდი. როცა დუშეთში ამოვყავი თავი, გონებაზე მხოლოდ მაშინ მოვედი და დავეკითხე ჩემ თავს: ჰოო, ეს მწევარი კურდღელს მისდევს და კურდღელი ვისღა ეტევება? ჩემს საკუთარს ფულს ხომ ხაზინა კაპეიკსაც არ ინახავს და არც არას მაძლევს, ან სადა მაქვს შემინახოს, რომ ის მახალისებდეს?! მეც ვითომ ფულის პატრონებს ვბაძავდი.

მომაგონდა მელიასი და ძერას ამბავი: ძერა მაღლა მიფრინავდა,—წიწილა მიჰქონდა. დაინახა ეს მელიამ, შეშურდა და ის დაბლა გაიქცა და ძირიდან უთვალთვალებდა გამარჯვებულ ფრინველს. ჰკითხეს: „სად მირბიხარო?"—მე და ძერას წიწილა მიგვაქვსო, უპასუხა. ჩემი საქმეც ასე იყო სწორედ.

საუბედუროდ, მხოლოდ ახლა ვიგრძენ ჩემი სასაცილო მდგომარეობა და არა მაშინ, როცა სადუშეთოდ მოვაჩაკჩაკებდი ჩემს მერანს, რომელიც მეტად უგემურად, უმადურად, უხალისოდ ადგამდა ფეხებს, თითქოს მეუბნებოდა—ნეტა რა ძალა გადგია, რომ ან თავსა და ან მე მტანჯავო"?!

განვვლე როგორც იყო ს. ზემო-თიანეთი, ს. ვარცლა, საკანაფის ხევი და ამოვყავი თავი ს. ჟინვანში, რომელიც ერთს დროს დიდებული და დიდმნიშვნელოვანი ქალაქი იყო და დღეს მხოლოდ ნანგრევები-ღა ჰმოწმობენ გარდასრულს დიდებას. დაუთმოთ ჩვენს არხეოლოგს და ფილოსოფოსს პლატონ იოსელიანს და მის ცრემლით მორწყულს ჟინვანის ნანგრევების აღწერას:

„Переходя мостъ, путникъ, нарушающій молчаніе опустѣвшаго мѣста, вступаетъ на поэтическую почву праха города и попираетъ древніе слѣды его (Pecliare restigia priora Z. Apuleius) по подгорію вверхъ, на сѣверъ, по теченію р. Арагвы. Онъ уже не обитаемъ. Въ немъ нѣтъ никакого населенія. Не слышно въ этой пустынѣ никакого говора человѣческаго, кромѣ голоса и говора шумящихъ деревъ (Lequentês ârbores. Catullus), кромѣ голоса журчащаго по мѣстамъ ручья. (Loquaces iymhae. Horatis) и шума отъ быстро текушихъ водъ р. Арагвы, омывающей ея берега съ западной стороны. Пролегаетъ по срединѣ древняго города, вьючная дорога въ Пщавію и Хевсуретію,—области горныя грузинскаго царства... Все пространство города, какъ скелетъ гиганта у вратъ кавказскихъ", და სხვა და სხვ.

აქ შევჩერდეთ, რადგან განსვენებულის პლატონის აღწერა და ლათინური აფორიზმები შორს წაგვიყვანს და ვსთქვათ ის, რომ ნაქალაქარი ჟინვანი დღესაც იმ სურათს წარმოადგენს, როგორსაც ამ ასი და ორასი წლის წინად წარმოადგენდა. მის პირდაპირ არის გაშენებული სოფელი 40 კომლ მცხოვრებლებითურთ ქართველები და აქვე დუქანია ხიდის ყურზე...

დუქნის წინ დავინახე აუარებელი ხალხი. ისმოდა ყაყანი და ჟრიამული. ბევრი რამ მოვისმინე, მაგრამ ამით თავს აღარ შეგაწყენთ და მეც იმით გავათავებ, რითაც პლ. იოსელიანი ათავებს ჟინვანის აღწერას:

„Оканчивая это описаніе руинъ Жинвани, гдѣ не отыскалъ я многихъ именъ мужей его прославившихъ, но нашелъ прахъ людей—его населявшихъ.. და სხვა.

ზოგი რამ შემდეგისთვის.

**მგზავრი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** 19 სექტემბერს მოხდა ქართ. დრამ. საზოგადოების სარეპერტუარო კომისიის სხდომა რეჟისორების თანადასწრებით. დაესწრნენ პ. გოთუა, ნ. ერისთავი, კ. მაყაშვილი, დ. ნახუცრიშვილი, ვ. აბაშიძე, კ. მესხი, გ. გედევანოვი და კ. შათირიშვილი. კრებამ შეიმუშავა უმახლობელესი რეპერტუარი. სეზონი დაიწყება დ. ერისთავის ისტორიული პიესით „სამშობლო"-თი 27 ენკენისთვეს. შემდეგ წარმოდგენილი იქნება: „მედეა"—სუვორინისა, „უდანაშაულოდ დასჯილნი"—ოსტროვსკისა, „ექიმი ამირბაჯიანი"—ტრ. რამიშვილისა, „მზეს მოკლებულნი"—ვეიენბერგისა, „კოჩრიანი ტროლა"—ვილდენბრუხისა, „სიკვდილი და სიცოცხლე"—დუტუ მეგრელისა, „ჰაი, გიდი, მეგობრებო"—სარდუსი, „ცრემლები[illegible]ნიანისა და სხვა. [illegible] ჟისორებით: ვ. აბაშიძე, კ. მესხი, გ. გედევანოვი და კ. შათირიშვილი. ამ წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ, სხვათა შორის, ქ-ნი ჩირგაძე, ბ-ნნი შარაშიძე, ქავთარაძე და სხ. დებიუტი მიეცემა პეტერბურგის დრამ. კურსების მოწაფეს ქ-ნ ნ. კოლხიდელს.

დასში მიღებულნი არიან: ქალები—აბაშიძე, ტ., კარგარეთელი [illegible], ლეჟავა ო., მდივანი მ., ნებიერიძე, საგინაშვილი ტ., ქილარჯიშვილი მ., ჩერქეზიშვილი ე., ჯავახიშვილი ნ. და სხ. კაცები—აბაშიძე ვ., გამყრელიძე ვ., გედევანოვი გ., გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., ივანიძე ი., იმედაშვილი-ხაშმელი, მესხი კ., მატარებე ვ., საჯაროვი შ., შათირიშვილი კ.

გასტროლიორები—ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა ნ., დავითაშვილი ნ., ჩხეიძე ნ., ჩირგაძე ა., ბ-ნი სვიმონიძე, ყიფიანი, შარაშიძე, ქავთარაძე და სხვანი. სცენარიუსები ვ. ურუშაძე, სუფლიორი ბ. ბეგლარიძე.

—

**ქუთაისი.** კვირას, 20 სექტემბერს, ქალაქის თეატრის კარები პირველად გაიღო ამ სეზონში ქართულ წარმოდგენებისათვის. დიდძალი საზოგადოება მიაწყდა თეატრს და უადგილობისა გამო მრავალი დარჩა გარედ. ორკესტრის ადგილი ხალხსა ჰქონდა დათმობილი და იძულებულნი იყვნენ, „მუსიკა" მაღლა ბალკონზე მოეთავსებიათ.

მეტად სასიამოვნო იქნება, თუ ეს თანაგრძნობა დროებითი, წამით გამოწვეული არ გამოდგება. არა, ქუთათურებს წლეულს მარტო სეზონის დაწყება არ უნდა ახალისებდეთ.

ზნეობრივადაც მხარი უნდა დაუჭირონ აქაურ დრამატიულ საზოგადოების ცდას, დააფასონ სცენის ხელმძღვანელთა მუყაითობა. მეტი იქნება ჩვეულებრივი წუწუნი დასის უვარგისობაზე, მოთამაშეთა უხეირობაზე, სცენის მოუწყობლობაზე, ადგილების ფასების სიძვირეზე: ყოველივე ეს წლევანდელ სეზონისათვის იმდენად გათვალისწინებული და კარგ დონეზე დაყენებული გვგონია, რომ მარტო ამ ბოდიშებით თავის გამართლება ტყუილი გამოდგება. ჩვენი ამგვარი იმედი დაამტკიცა პირველმა ქართულმა წარმოდგენამ.

წარმოდგენის დაწყებამდე გამგეობის წევრმა ბ-ნმა ილია ჩიქოვანმა დროის შესაფერისი სიტყვით მიმართა საზოგადოებას.

ამ საღამოს წარმოდგენილმა რთულმა პიესამ „ვიდრე ხვალ უფალო?" აკაკის მიერ სენკევიჩის რომანიდამ გადმოკეთებულმა, მშვენივრად ჩაიარა. არტისტები ქ-ნი ჩხეიძისა, დავითაშვილის, ბ-ნი გუნია, იმედაშვილი, დადიანი ნემო, ყალაბეგიშვილი—ყველა თავის ადგილზე იყო. განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევდა ნ. ჩხეიძის ასული (ევნიკა) თავის მადლიანის თამაშით, განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში, სადაც იგი მალულად ეხვევა პეტრონიუსის ქანდაკს და სიყვარულს უცხადებს. მეტად გრძნობიერი იყო მარკუსის როლში ბ-ნი იმედაშვილი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მან განსაკუთრებით მეოთხე მოქმედებაში, სადაც ლიგია (ქ. დავითაშვილის ასული) ეთხოვება მარკუსს და ქრისტიანებთან მიდის საწამებლად. ბ-ნი იმედაშვილი რამდენიმე წელიწადი არ გვინახავს ქუთაისის სცენაზე და ამ ხნის განმავლობაში დიდი ნაბიჯი გადუდგამს წინ. ძლიერ რიხიანი, მოხდენილი პეტრონიუსი იყო ბ-ნი გუნია, რომელიც თავის ხმითა და თვალ-ტანადობით ჰხიბლავდა საზოგადოებას. კარგი იყო აგრეთვე დავითაშვილის ასული (ლიგია), მაგრამ უფრო მეტს მოველოდით.

მეორე ხარისხოვან როლებში ყველაზე სუსტი ქ-ნი რონელისა გვეჩვენა. ისე ირჩეოდა მისი ხმა და ლაპარაკის კილო ქართველ მსახიო-

ბეში, თითქოს უცხო ადამიანს ეს არის ეხლა შეუსწავლია ქართული, და ვერა ლაპარაკობსო. გრძელი, გაზმული ცივი უგრძნობელი სიტყვები.

სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ მასსიური სცენები, ეს მუდმივი სენი ჩვენის თეატრისა—ამ საღამოს განკურნებული ვიხილეთ. აღარა სჩანდა ჩვეულებრივი არევ-დარევა, მიხლა-მოხლა, უადგილოდ და უმიზნოდ სცენაზე ატუზვა. უგრიმოდ გამოსვლა და სხვა, ყველას დაკვირვება და მოვალეობის შეგნება ეტყობოდა. ხორომ მშვენიერის პიანოთი სთქვა საგალობელი, მაგრამ უფრო უკეთესი იქნებოდა ცოტა ხმა აეწია. ზოგიერთი დაბალი ნოტა სულ არ ისმოდა.

აქვე სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მოთამაშეთ კარგი ტანისამოსები ეცვათ; დეკორაციებიც ახალი, შესაფერი იყო. დასასრულ თარგმანი ხომ ჩინებული იყო.

უნდა აღვნიშნოთ ცოტა რამ ნაკლულევანებაც: წარმოდგენა გვიან დაიწყეს, რაც საზოგადოებაში უკმაყოფილებას იწვევდა; რამდენჯერმე მსახიობთ როლი შეეშალათ და ჯავრი სუფლიორზე იყარეს: ზურგი შეაქციეს საზოგადოებას და სუფლიორს რაღაც შეუკურთხეს. სუფლიორი, შეიძლება, დამნაშავე და შეკურთხების ღირსიც იყო, მაგრამ სცენაზე ანგარიშის გასწორება არ შეიძლება. შენიშვნა გუნიასაც: იმ მოქმედებაში, როდესაც იგი სავსე ჰიქით ხელში მიმართავს თავის მეგობრებს, შეუძლებელია, ხელში ისე ათამაშო სავსე ფიალა, შიგ თუ რამე ასხია, უეჭველია, ერთი წვეთიც აღარ ჩარჩება. მსახიობი აღარ ავსებს ჰიქას და მაყურებელი ჰხედავს, რომ მხოლოდ ცარიელი ჰიქა მიიყუდა ტუჩებთან. ერთხელ ვსთქვათ, არაფერია. მაგრამ ამ სურათში მსახიობს სამჯერა აქვს ასეთი შემთხვევა და სამივეჯერ სადღეგრძელოს ამგვარადა სვამს ცარიელ ჰიქით.

შაბათს, 26 სექტემბერს, გაიმართება იაფ-ფასიანი წარმოდგენა. წარმოადგენენ ისევ „ვიდრე ხვალ, უფალო“?-ს. ამგვარად, იმ საზოგადოებას, რომელიც უბილეთოების ან უსახსრობის გამო წარმოდგენას ვერ დაესწრო, შეძლება ეძლევა ახლა მაინც დასტკბეს კარგის თამაშით.

—

**ავლაბრის თეატრი.** კვირას, 20 სექტემბერს, გაიხსნა ავლაბრის თეატრი ბ-ნ ხარაზიანის დირექციით. წარმოადგინეს სომხურად „ურიელ აკოსტა“ გუცკოვისა. მოთამაშეთა შორის ყურადღებას იქცევდა ბ-ნი ხარაზიანი (აკოსტა). არა უშავდა-რა ბ-ნ ჰაიკაზიანსაც (დე-სილვა) და ქ-ნ ნინუელს (ივდით). დანარჩენები სუსტობდნენ. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო.

შესდგა ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობა, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა დირექციასთან. ამ ამხანაგობას აზრადა აქვს მართოს ქართული წარმოდგენები ხელ-მისაწვდენ ფასებში. პირველი წარმოდგენა დანიშნულია ამ ახლო ხანში.

**სცენის მოყვარე**

# რუსეთი

✦ **კოლიბაბა.** გეხსომებათ კოლიბაბა. კოლიბაბა საერობო უფროსია. კოლიბაბა დაენაძლევა მდიდარ მემამულეს ცანკოს, თუ 15 დესეტინა ბალახი ამა და ამ ვადაში მოვთიბე, სოფელ კამრატში ქალთა გიმნაზიის შენობა ააშენე და შეინახეო. კოლიბაბამ, როგორც ვიცით, სანაძლეო მოიგო. ამ დღეებში კოლიბაბა ჩასულა ბენდერში, სადაც სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ყოფილა. როდესაც ხალხს გაუგია, რომ ბენდერში კოლიბაბაა, დაფაცურებულან, უპოვნიათ, შემოხვევიან გარს, აუტაცნიათ ხელში და მთელი ქალაქი შემოუტარებიათ. კოლიბაბას ძლივს დაუხწევია თავი.

„ბაკუს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ბესარაბიის გუბერნატორმა კოლიბაბას წინადადება მისცა, სამსახურიდან გადიო. რა მიზეზით, არავინ იცის. ერთგან კოლიბაბას ხალხი აღტაცებით ეგებება, ალმერთებს და მეორედან ეუბნებიან, საიდანაც მოსულხართ იქით წადიო!

✦ **გენერალი მიშჩენკო.** სალდათ ხარინს გენერალ მიშჩენკოსგან შემდეგი დეპეშა მიუღია: მიპატიებია. ღმერთმაც გაპატიოს. მე ვშუამდგომლობ ხელმწიფის წინაშე, რომ სასჯელი გაპატიონ. როგორც დეპეშებიდან, ვიცით ჯარის ალლუმების დროს დაიჭრა გენერალი მიშჩენკო. ამას აბრალებდნენ სალდათ ხარინს. ამის გამო სამხედრო სასამართლომ ხარინს დახვრეტა გადაუწყვიტა.

✦ **ცირკულიარი.** სატუსაღოების მთავარ გამგეობას სატუსაღოების ადმინისტრაციისთვის მიუწერია, მიიღეთ ზომები, რომ სატუსაღოები სუფთად იყვნენო.

✦ **დუბროვინი.** „ბაკუს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: დუბროვინს საზღვარ-გარეთის პასპორტი აუღია. ვენიდან იტყობინებიან, დუბროვინი სტამბოლში ჩამოვიდაო.

„რეჩის“ სიტყვით ნაფიც ვექილ ბულაცელს იალტიდან „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოსთვის (ამ ჟამად იალტაშია ხელმწიფე-იმპერატორი) შეუტყობინებია: ვერას გავხდით, დუბროვინს ხელმწიფე-იმპერატორი არ მიიღებსო. როგორც ვიცით „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარმა საბჭომ იალტაში დეპუტაცია გაგზავნა. დეპუტაციაში ორი კაცი შედიოდა—ბულაცელი და ელენაკი. ამათ უნდა ეშუამდგომლნათ, რომ ხელწიფეს დუბროვინი ენახა.

✦ **ხოლერა პეტერბურგში.** უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ხოლერამ პეტერბურგში ისე დაისადგურა, რომ ექიმებმა ველარ შესძლეს მისი აღარგვა. „რეჩი“-ს სიტყვით, პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონის პეტერბურგის სამღვდელოებისათვის უბრძანებია, ყოველ წირვასა და ლოცვაზე შეევედრეთ ღმერთს, რომ პეტერბურგში ხოლერა მოისპოსო. არ ვიცით გასჭრის სამღვდელოების ლოცვა თუ არა! უფრო კი კარგი იქნებოდა, ქალაქი გაესუფთავებინათ და ამისთვის საჭირო ზომები მიეღოთ.

✦ **ხელშეკრულება.** „ნოვაია რუსი“ იუწყება: თეატრ „ერმიტაჟის“ დირექციამ ოსმალეთის სულთნად ნამყოფ აბდულ-ჰამიდის ჰარამხანის 16 ქალთან და 4 საჭურისთან ხელშეკრულება დასდო. ამ ხელშეკრულებით ძალით ჰარამხანის 16 ქალი და 4 საჭურისი მოვალენი არიან ოპერეტკა „ჰარამხანის ცეკვა“-ში მონაწილეობა მიიღონ.

✦ **სახელმწიფო სათათბიროში.** სახელმწიფო სათათბიროს ზოგიერთ დეპუტატის სიტყვით სახელმწიფო სათათბიროში ხელ-მეორედ აღძრავენ საკითხს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეებს კარგა ბლომა მასალები შეუკრებიათ. ამ ბოლო დროს ძალიან გახშირებულა სიკვდილით დასჯა. ოფიციალურია წყაროებიდან სჩანს, რომ 1907 წელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 2,569 კაცისთვის, ე. ი. თვეში 214, დღეში 7 კაცისთვის. ამავე ოფიციალურ წყაროებით სიკვდილით დასჯა უმთავრესად გადაუწყვეტიათ იმ პირებისათვის, რომლებსაც ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა ჩაუდენიათ. მხოლოდ პეტერბურგის, ოდესის და ვილნოს სამხედრო სასამართლოებს აღნიშნული ჰქონიათ, რომ ამა და ამ კაცს სიკვდილით დასჯა სახელმწიფოს საწინააღმდეგო ბოროტ-მოქმედებისათვის გადაუწყვიტეთ, დანარჩენ ძარცვა-გლეჯას ასახელებენ. ყველაზე მეტი სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანიათ ოდესის ოლქის სამხედრო სასამართლოებს, 30 პროცენტი, ყაზანის—14 პროც., ვარშავის—13 პროც., მოსკოვის—10 პროც. და სხვ. კავკასიის სანამესტნიკოს სამხედრო სასამართლოები ყველაზე ლმობიერად მოქცეულან.

# უცხოეთი

**პოლიტიკური ბრძოლა ინგლისში.**

მთელი ინგლისი დიდის მოუთმენლობით მოელის იმ დიდებულ ბრძოლის ბოლოს, რომელიც გამოიწვია ახალმა „ისტორიულმა“ ბიუჯეტმა. ეს ბიუჯეტი, როგორც ვიცით, მდიდრებს უმატებს გადასახადებს და ღარიბებს შეღავათს აძლევს. გაჰბედავენ ლორდები ამ ბიუჯეტის უარყოფას და ამით ნამდვილ რევოლიუციის გამოწვევას, თუ ვერა? ამ ბოლოს დროს უმეტესობა ჰფიქრობს, რომ ლორდები ნამდვილად გაჰბედავენ და უთუოდ უარჰყოფენ ბიუჯეტსაო. კონსერვატიულ პარტიის უფრო ფრთხილი მეთაურებიც დარწმუნდნენ, რომ თვით მათი საკუთარი მომხრეები არ დაემორჩილებიან მათ ზომიერ რჩევასო და ამიტომ მათ გადასწყვიტეს, უკიდურეს კონსერვატორებს დაუთმონ და მათთან თანახმად იმოქმედონ, რაც იქნება,—იქნებაო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა პარტიული დისციპლინა, ხოლო ეს გარემოება მეტად ეხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებს ზომიერ კონსერვატორებს, რა-საკვირველია, კონსერვატორების მეთაურებმა კარგად იციან, რომ ბიუჯეტის უარყოფა აუცილებლად გამოიწვევს ახალ არჩევნებს და თუ ამ არჩევნებში ლიბერალები გაიმარჯვებენ, ეს იქნება ნიშანი როგორც ბიუჯეტის გამარჯვებისა, ისე ლორდთა პალატის საკანონმდებლო უფლებათა მოსპობისაც. მაინც კონსერვატორების მეთაურმა ბალფურმა ბირმინჰამში სულაც არ ილაპარაკა მშვიდობიან კილოზე.

ბალფურმა სწორედ იმავე ადგილას, ეადაც ამას წინად ასკვიტმა ილაპარაკა, სიტყვა წარმოსთქვა ბიუჯეტზე და პასუხი გასცა პირველ მინისტრს. მის სიტყვის მოსასმენად აუარებელი ხალხი შეიკრიბა და დიდის აღტაცებითაც მიიღეს ორატორი, თუმცა ეს ამბავი სულაც არაა გასაოცარი ბირმინჰამში, რადგან ეს ქალაქი ნამდვილი ციხე-ბურჯია კონსერვატიულ პარტიისა. ორატორის ტრიბუნის ახლო, ისე როგორც ასკვიტის ლაპარაკის დროს; იდგეს ახალი აპარატები—ელექტროფონები, რომლებიც შორ მანძილზე გადასცემდნენ ორატორის სიტყვას. ამ ელექტროფონების შემწეობით ბალფურის სიტყვას ისმენდა თავისავე სადგომში ჯოზეფ ჩემბერლენი, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო კრებას. ამავე გზით ბალფურის სიტყვა გადაეცა ლონდონში გაზ. „დეილი მეილ“-ის რედაქციას.

კრების გახსნის უმალ წაიკითხეს ჯოზეფ ჩემბერლენის წერილი. ამ წერილში ბირმინჰამელ უნიონისტების მეთაური—ჩემბერლენი ჩვეული გაბედულ კილოთი გამოსთქვამდა იმედს, რომ ლორდები უარჰყოფენ ბიუჯეტს და რომ გამარჯვება პროტექციონიზმს დარჩებაო.

თითონ ბალფურმა ცოტა უფრო ფრთხილად ილაპარაკა. ასკვიტის მიერ მიცემულ უბრალო კითხვას—გინდა თუ არა, რომ პურს, ხორცს და სხვა უსაჭიროეს სანოვაგეს ბაჟი დაედოსო,—მან არავითარი პასუხი არ გასცა, მაგრამ საყურადღებო ის იყო, რომ ბალფური აშკარად, პირდაპირ ლაპარაკობდა ბაჟების რეფორმაზე და წინანდებურად ბუნდოვან სიტყვებს აღარ ხმარობდა, როგორც, მაგალითად, „საფინანსო რეფორმა“ ანუ „გადასახადების საფუძვლის გაფართოვება“. ბაჟების რეფორმა მან დაუპირდაპირა მთავრობის სოციალისტურ ბიუჯეტს: ლიბერალურ სამინისტროს ბიუჯეტი მდიდრებს ხომ გააკოტრებს, მაგრამ არც თუ ღარიბებს მოუტანს ნაკლებ ზარალსაო, იმიტომ რომ მათ სამუშაოს მიმცემი აღარავინ ეყოლებათო. ასკვიტის მეორე კითხვაზე,—რას ურჩევთ ლორდთა პალატასაო—კონსერვატორების მეთაურმა შემდეგი სთქვა:

„მთავრობის ბიუჯეტი პირველი ნაბიჯია სოციალიზმისაკენ. ინგლისის ერმა ორში ერთი უნდა აირჩიოს: ან ბაჟების რეფორმა, ან სოციალიზმი. მგონია, რომ ინგლისის ერმა მალე უნდა დაადგინოს თავისი განაჩენი ამ საგანზე. არც ლორდთა პალატას, არც დეპუტატთა პალატას არ შეუძლიანთ და არც უფლება აქვთ თითონ დამოუკიდებლად გადასწყვიტონ ესეთი დიდად მნიშვნელოვანი საქმე; იმისი გადაწყვეტა შეუძლიან მარტო მთელს ერს. იქნება ერის მსჯავრმა გადასწყვიტოს მთელის პარტიების და დაწესებულებათა (ესე იგი ლორდთა პალატის) ბედიც, მაგრამ პარტიებიც მხოლოდ ხალხისთვის არსებობენ, ხოლო დაწესებულებანიც სრულიად უსარგებლონი იქნებიან, თუ არ შეასრულებენ იმ საქმეს, რომლისთვისაც დაარსებულნი არიან“.

ლიბერალურ გაზეთების აზრით, ბალფურმა მაინც ორპირად გამოსთქვა თავისი აზრი. მაგრამ გაზ. „ტაიმს“-მა რომელიც გამოსთქვამს თითონ ბალფურის აზრებს, იმნაირად ახსნა იმისი სიტყვა, რომ ლორდთა პალატა აუცილებლად უარჰყოფს ბიუჯეტსაო.

ლორდებმა უკვე მიიტანეს იერიში სამინისტროსა და დეპუტატთა პალატაზე. ლორდთა პალატას განსახილველად გადაეცა დეპუტატთა პალატის მიერ დამტკიცებული კანონ პროექტები: მუშათა სადგომებზე და ირლანდიის სადგილ-მამულო პროექტი. პირველი კანონ პროექტი ლორდებმა ძლიერ შეასწორეს და ეგველი დონე იღონეს რომ ამ კანონს ძალა დაეკარგოს, მეტადრე იმ მუხლს, რომლითაც ქალაქს უფლება აქვს ძალდატანებით შეისყიდოს მიწა ლორდებისგან მოქალაქეთა საჭიროებისთვის და სადგომების ასაშენებლად. თუ ლორდები ბოლოს და ბოლოს ვერ გაჰბედავენ ბიუჯეტის უარყოფას, ყოველ შემთხვევაში იმას მაინც შეეცდებიან, რომ ლიბერალურ სამინისტროს მთელი პროგრესიული კანონმდებლობა შეაფერხონ, და ეს საკმაო იქნება, რომ მათა და ხალხის წარმომადგენლებს შორის ბრძოლა დაიწყოს.

**დღესასწაული ფულტონის ხსოვრად.**

ნიუ-იორკში (ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში) 12 სექტემბერს დაიწყო დღესასწაული გემის გამომგონის განთქმულ რობერტ ფულტონის ხსოვრად. 12 სექტემბერს 100 წელიწადი შესრულდა, მას შემდეგ, რაც ფულტონმა პირველი გემი ააშენა. დღესასწაულზე დასასწრებლად შტატების სხვა და სხვა მხრიდან მოვიდა 2 მილიონი სული. დაესწრნენ აგრეთვე იაპონელი პრინცი კუნი, ჩინეთის ელჩი, ინგლისელი ადმირალი სეიმური, გერმანელი ადმირალი ფონ კესტერი და სხვანი. სულ 27 სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო მოსული. დღესასწაულში მონაწილეობას იღებდა სხვა და სხვა სახელმწიფოს სამხედრო ესკადრებიც. ინგლისელმა ადმირალმა სეიმურმა უთხრა პრესის წარმომადგენლებს, რომ ესკადრონის შეხვედრა ხელს შეუწყობს მშვიდობიანობას, რადგან აქ გამოჩნდა, რომ ყველა ერი კარგად ყოფილა შეიარაღებულიო.

ოფიციალურ მიღების დროს პატივი სცეს ინგლისელ ადმირალ სეიმურს, რომელმაც განაცხადა, რომ ინგლისის და ამერიკის ძმა-ერთა შორის გულითადი მეგობრული განწყობილება არსებობსო, ინგლისს უხარიან და საამაყოდ აქვს ამერიკელების წარმატება, რადგან ორივე ერი ერთს ტომს ეკუთვნისო.

გერმანულმა ადმირალმა კისტერმა აღნიშნა, რომ გერმანიიდან გადმოსახლებულთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ამერიკის განვითარებისათვისო.

## წერილი რედ. მიმართ

ჩემდამი რწმუნებული წინარეხის სკოლა ეკუთვნის „წ.-კ. საზოგადოებას“. როდესაც აქ სკოლა დაუარსებიათ, უფიქრნიათ: ეს პატარა სოფელი (120 კომლამდეა) სკოლას ვერ გაუძლებსო, და მახლობლად დასახლებული მთიულებიც ხარჯში ჩაუწერიათ. ამ რიგად, 1882 წლიდან დაწყებული, იმ 250 მან.; რომელიც სოფლის საზოგადოებაზეა შეწერილი, საკუთრივ წინარეხი იხდის ყოველ წლივ მხოლოდ 72 მან-, დანარჩენს 178 მან.-კი ზედ მიწერილი სოფლები იხდიან, რომლებიც სრულიად ვერა სარგებლობენ სკოლით, რადგან დაშორებულნი არიან 5-12 ვერსით. სკოლის დამაარსებლებს ამ შემთხვევაში მიუბაძნიათ დირექციისათვის; მაგრამ ის, რაც ეპატიებათ სხვებს, არ მიეტევებათ ჩვენებს. უმჯობესია, ცოტა სკოლები გვქონდეს და რაც გვქონდეს სიმართლეზე აგებულ-დამყარებული.

აღნიშნული მთიულები გუდა-მაყრიდან არიან გადმოსახლებულნი. მეტად ნიჭიერი ხალხია მათში „საყველ-პურო“ წერა-კითხვა ძალიანაა გავრცელებული. მეც, რაც შესაძლებელია, ხელს ვუწყობ, მაგრამ უფრო ერთმანეთისაგან სწავლობენ. ამ უკანასკნელს დროს ძალიან ხშირად მოდიან და სხვა და სხვა სასწავლო ნივთებსა და საკითხავ წიგნებსა მთხოვენ. ვერც ერთს გაკვეთილს ვერ ჩავატარებ ისე, რომ ორმა-სამმა არ გამომიძახოს. რაც-კი რამ მებადა, ჩემი საკუთარი წიგნებიც-კი სულ დავარიგე. ვაძლევ ხოლმე ბავშვების ნახმარს წიგნებსაც, მაგრამ მათს მოთხოვნილებას ვერ ვაკმაყოფილებ. ბევრი ისეთი წიგნიც მივეცი, რომელიც მათთვის სრულიად გამოუსადეგარია. მაგრამ რას იზამ? კაი ბიჭი ხარ და ნუ მისცემ! არ მოგეშვებიან. თუ უარი უთხარი, უსიამოვნებასაც მოგაყენებენ. ისეთს სიმართლით სავსე საყვედურს გეტყვიან, გულის ძაფებს ჩაგიწყვეტავენ, არც გასამტყუნარნი არიან: ჯერ ეს ერთი, რომ ჩვენ მოწინავე ელემენტსაც არა აქვს იმდენი შეგნება, რომ რაიმე კულტურულ-საქველმოქმედო დაწესებულებისთვის თავისი წვლილი იხადოს და ხად მოვსთხოვოთ ეს მსხვერპლი ტყეში მცხოვრებთ! მეორეც—ათასნაირის გადასახადებისაგან წელში არიან მოხრილნი, უცხოეს ვერას აკლებენ და შინაურებს ეტანებიან. ერთხელვე აქვთ ჩაგონებული: მასწავლებელს მუქთად მოსდის წიგნები და ვინც ბავშვს სკოლაში ვერა ჰგზავნის, რა წიგნებიც უნდა მოითხოვოს, მასწავლებელმა უნდა მისცესო.

რადგან „წ.-კ. ს. გამგეობა“, უსახსრობისა გამო, იმდენს წიგნებს ვერ მიგზავნის, რომ მათი მოთხოვნილება დავაკმაყოფილო, მივმართავ ხალხის გულშემატკივართ, მომაწოდონ სასწავლო ნივთები და საკითხავი წიგნები, რათა საშუალება მომეცეს, დროებით მაინც, როგორმე დავაკმაყოფილო მათი მოთხოვნილება. შემდეგში-კი, თუ „წ.-კ. ს. გამგეობა“-მ როგორმე საქმე არ მოაგვარა, აქ მასწავლებლობა ყოვლად შეუძლებელია, რადგან უსიამოვნებას შეიძლება სამწუხარო შედეგიც მოჰყვეს. წიგნები შეიძლება გადაეცეს „წ.-კ. ს. კანცელარიაში“ ვასილ ედილაშვილს.

თუ რომელიმე გაზეთი ისურვებს და ამ წერილს გადაჰბეჭდავს, კარგს ინებებს.

მასწავლებელი **ვ. გიუნაშვილი.**

# განცხადებანი


**იაფად იყიდება სრული**
**თ ხ ზ უ ლ ე ბ ა**
**ია ეკალაძისა**
(ი. ცინცაძისა)

ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. მანეთიანი იყიდება 60 კაპ., ვინც 5 ც. მეტს იყიდის, წიგნი დაეთმობა 50 კ. წიგნის დაბარება და ყიდვა შეიძლება ამ ადრესით: ტფილისი, ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოება, ვ. ედილაშვილი. (ნ. 10—1)

სასახლის ქ., თავად-აზნაურთა სახლში, კერძო სააუქციონო ზალაში

● გ ა ი ხ ს ნ ა ●

**გამსესხებელი განყოფილება**

მოძრავ ქონების დასაგირავებლად. ოპერაციები ხდება დილის 9-დან შუადღის 12 საათამდე, კვირა-უქმეების გარდა. (5—462—1)

**პირველი კერძო სამკურნალო**
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—178)

გრიბოედოვის „პერეულოკში“, № 6, ზემო სართულში

**ქირავდება**

ერთი ან ორი ოთახი მარტოხელ კაცისათვის; შეიძლება სადილითა და მოწყობილობითაც. იქვე **ასწავლიან ფრანგულსა, გერმანულსა და ინგლისურ ენებს.** (3—უ.—2)

**დ**აიბეჭდა ქართული პიესები: **„უშნო არშიყი“**, კომ. 3 მოქმ., **„სოფიო“**, ვოდევ. 1 მოქმ., **„დუქნის ოთახში“**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, თხზულებანია ალ. თუთაევისა. გამოცემა მეორე. ფასი 20 კაპ.

იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში ქ. გორში—არსენ კალანდაძესთან, ტფილისში—დიდუბეში ავტორთან ხაკ. ხაზ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დაეთმობა 25%. (25—393—23)

**თეატრი „ილუზიონი“**
ს. ო. ივანიცკისა
**მიხეილის პროსპექტი, ს. ვეტცელისა.**

რადგან სინემატოგრაფიულ ლენტების ქირაობის დროს თითონ მე არა ერთხელ მომატყუეს სხვა და სხვა ფირმებმა, განსაკუთრებით როსტოველმა ფირმებმა, ამიტომ საზღვარ-გარედ ყოფნის დროს ხელშეკრულება დავუდე ფრანგულ საზოგადოებას

**ლენტების გასაქირავებელ კანტორის**

დასაარსებლად იმ აზრით, რომ ღარიბ პროვინციელ პროჟექტორებს, რომელნიც დიდ ფულს იხდიან ლენტების ქირაობის დროს, შეეძლება მიეცეთ მიიღონ სურათები **სულ მცირე ფასებში,** ქირის პირობები ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული, ეხლა კი, კანტორის გახსნამდე, ცნობების გაგება შეიძლება პირადად ჩემთან. (5—1019—3)

—◀ **მიიღება ხელის მოწერა** ▶—

(ხელის მოწერა წელიწადი ითვლება 1909 წლის 1 ნოემბრიდან 1910 წლის 1 ნოემ.-მდე) ყველასათვის ხელმისაწვდენ პირველ სამხატვრო ყოველთვიურ ჟურნალ

**ჟურნალს დამატებად ეძლევა რუსეთისა და უცხოეთის საუკეთესო მხატვრების სურათები.**

| წლით 2 მან. | **„ზვეზდა“-ზე** (ЗВѢЗДА) | ნახევარი წლით 1 მანეთი |
|---|---|---|

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ: ლეონიდ ანდრეევი, არციბაშევი მ. პ., ანდრუსონ ლ. ი., ბარანცევიჩი კ. ს., ბუნინი ი. ა., ბუდაშაჩევი ა. ნ., ბრუსიანინი ვ. ვ., გუსევი ორენბურგელი ს. ნ., გნედიჩი პ. პ., გოროდეცკი სერგეი, იზმაილოვი ა. ა., იზმაილოვი ვლ., კამენსკი ა. პ., კორეცკი ნ. ვ., კუპრინი ა. ი., კუპჩინსკი ფ. ფ., ლაზარევსკი ბ. ა., ლენსკი ვ. ი., ლაზაჩევი ვ. ს., მუიჟელი ვ. ვ., ნაიდენოვი ს. ა., ნემეჟინი პ. მ., ნემიროვიჩ-დანჩენკო ვას. ივ., პოტაპენკო ი. ნ., პოზნიაკოვი ნ. ი., პერვუხინი მ. კ., როსლავლევი ა., რიმკოვი გ. ა., სერაფიმოვიჩი ა. ს., სკიტალეცი, ტიხონოვი ვლ. ა., ტიმკოვსკი ნ., ტოლსტოი ა. ნ., უმანოვი-კაპლუნოვსკი ვლ., ფედოროვი ა, მ., ფოფანოვი კ. მ., ცენზორი დ. ა., ჩირიკოვი ე. ნ., ჩეხოვი მ. პ., მჩეგოლევი ი. ლ., მჩეპკინა-კუპერნიკი ტ. ლ. და მრავ. სხვა.

1909—1910 წლის ხელის-მომწერნი 1 ნოემბრიდან მიიღებენ:

**12** მშვენივრად დასურათებულს სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ. ნომერს, კარგად დასურათებულ კანით.

**48** სურათ-ავტოტიპს რუსეთის და უცხოეთის გამოჩენილ მხატვრისას.

**12** წიგნს „უცხოელ მწერლების რჩეულ მოთხრობებისას“.

**2** სურათს მრავალ-ფერადიანს, ბერლინში დამზადებულს.

ბერლინში დამზადებულს მრავალ-ფერადიან სურათებს მიიღებენ მხოლოდ წლიური ხელის-მომწერნი, რომელნიც 1909 წლის 1 ნოემ.-მდე გამოიწერენ გაზეთს.

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში გაგზავნით ყველა ქალაქში 2 მან.; ნახევარი წლით 1 მან.; ამაზე ნაკლებ ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

რედაქციის ადრესი: Петербургъ, Б. Подъяческая, 39. Редакція художественныхъ журналовъ „Звѣзды“ и „Пробужденіе“,

მზადდება და 1909 წლის 1 დეკემბერს გამოვა მშვენიერი სამხატვრო გალერეია სურათებისა

**„ევროპიელი მხატვრები“**

200 ცალკე სურათი-ავტოტიპი გამოჩენილ მხატვრებისა, შავისა და სხვა ფერადებით დამზადებული.

ხელის მოწერის ფასი: 200 სურათი მშვენიერ აბგაში 3 მან.
100 სურათი მშვენიერ აბგაშივე 2 მან.

ადრესი: Петербургъ, Б. Подъяческая. 39. Редакція художественныхъ изданій Пробужденіе“.

(3—უ—3) რედაქტორ-გამომცემელი **ნ. ვ. კორეცკი.**


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი **ი. ხ. აგლაძე.**